# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 2 მარტი, 2012 წელი.

№42 (6919)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

# სააკაშვილისთვის მძიმე ასატანი იყო ჩინოვნიკთა სრასახლების ფოტოების აფრიალება





# პრეზიდენტის ჩაბულბულებულ-ჩატალახებული სტუმრობა პარლამენტში







იხ. მე-3-5 გვ.

## „აჭარის ოკუპაციისთვის ახალი ნიადაგი მზადდება“

2

ბათუმში ოკუპაციის მუზეუმის გახსნას ითხოვენ

## ცამეტი ცეცხლოვანი რაში...

5 7

რა უნდა ვქნათ რუსეთში დაუყოვნებლივ და აუცილებლად

## სამშობლო უფრო თბილია...

12



SIC!

# „აჭარის ოკუპაციისთვის ახალი ნიადაგი მზადდება“

## ბათუმში ოკუპაციის მუზეუმის გახსნას ითხოვენ

**ბათუმში** აზიზიეს სახელობის მეჩეთის მშენებლობისა და ახალციხეში რაბათის ტერიტორიაზე მუსლიმანური ჯამეს აღდგენის შესახებ გადაწყვეტილებას აჭარაში უმეტესობა, რბილად რომ ვთქვათ, უარყოფითად აფასებს. აჭარაში თვლიან, რომ ოშკის რესტავრაციის სანაცვლოდ ბათუმში ახალი მეჩეთის აშენება თანაფარდობის პრინციპის დარღვევაა. ამ დღეებში ქალაქის ცენტრში, იმ ადგილას, სადაც ოდესღაც აზიზიეს მეჩეთი იდგა, ბათუმელმა ახალგაზრდებმა ჯვარი აღმართეს. ეს აქცია ქალაქმა მოიწონა, მით უმეტეს, რომ სწორედ ამ მოედანზე არიან დასაფლავებული 1918 წელს თურქეთის ჯარის ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლებში დაღუპული ქართველი მებრძოლები.

პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ამასთან დაკავშირებით დაუფარავად გამოხატავენ თავიანთ პოზიციას. თებერვლის ბოლო დღეს გაიმართა „ქართული აკადემიის“ აჭარის წარმომადგენლობასთან არსებული აჭარის უხუცესთა სათათბიროს სხდომა, რომელზეც განიხილეს საკითხი ბათუმში თურქეთის ოკუპაციის მუზეუმის გახსნის შესახებ. უხუცესებმა, რომელთა რიგებში არიან საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები, ერთხმად დაგმეს თურქეთის სულთნის აზიზიეს სახელობის მეჩეთის აგება. მათი აზრით, არსებობს იმის საშიშროება, რომ ეს იქნება თურქეთის წახალისება აჭარაში შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად. უხუცესთა სათათბიროს წევრები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მე-16 საუკუნის შუა ხანებიდან მე-19 საუკუნის ბოლომდე აჭარა და სამცხე-ჯავახეთი დაპყრობილი ქონდა ოტომანთა იმპერიას. 1878 წელს ბათუმის გათავისუფლების შემდგომ შეწყდა თურქეთის ბატონობა ამ კუთხეზე. თუმცა 1918 და 1921 წელს თურქეთმა ორჯერ სცადა აჭარის ოკუპაცია. მადლობა ღმერთს, რომ ქართველ მამულიშვილთა თავდადებამ იხსნა ეს კუთხე ახალი ოკუპაციისგან. როგორც სათათბიროს წევრებმა თამაზ ცინცაძემ და ჯემალ ჯიჯავაძემ აღნიშნეს, 1878 წელს რუსეთის აქტიური საბრძოლო მოქმედებების შედეგად აჭარა გათავისუფლდა და დაუბრუნდა დედასამშობლოს. თუმცა, ერთი ოკუპანტი მეორემ შეცვალა. ამდენად გამართლებულად მიმაჩნია თბილისში რუსული ოკუპაციის მუზეუმის შექმნა, მაგრამ საჭიროა ბათუმში გვქონდეს თურქეთის ოკუპაციის მუზეუმიცო, განაცხადეს მათ.

უხუცესთა სათათბირომ აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის თავმჯდომარის მიხეილ მახარაძისა და ლევან ვარშალომიძის სახელზე მოამზადა წერილი. გთავაზობთ ამ წერილს.



**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ლევან ვარშალომიძეს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს მიხეილ მახარაძეს**

**ბატონო ლევან!**
**ბატონო მიხეილ!**

თქვენ ნამდვილად არ გესწავლებათ, თუ რა დიდი როლი შეასრულა თბილისში რუსული ოკუპაციის მუზეუმის დაარსებამ. თბილისში ჩამოსული ტურისტები სწორედ რომ ამ მუზეუმის ექსპონატებით ეცნობიან საქართველოს უახლეს ტრაგიკულ ისტორიას, 1921 წლის წითელი ტერორიზმის ნაკვალევს. იგი ხელს უწყობს ჩვენი ახალგაზრდობის პატრიოტულ აღზრდას, ეროვნული ცნობიერების გაფართოებას და ა.შ.

„ქართული აკადემიის“ აჭარის წარმომადგენლობასთან არსებულ უხუცესთა სათათბიროს მიზანშეწონილად მიაჩნია, ბათუმში გაიხსნას თურქული ოკუპაციის მუზეუმი. გთხოვთ, დაავალოთ აჭარის კულტურის სამინისტროს მოამზადოს სათანადო მასალები მუზეუმის დასაარსებლად, პირველ რიგში კი, ვიდრე მუზეუმი გაიხსნება, მანამდე აჭარის სამუზეუმო გაერთიანების ხელმძღვანელობას დაევალოს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შეიქმნას ოსმალური ოკუპაციის განყოფილება.

იმედი გვაქვს, ჩვენი უხუცესების იმ იდეას გულთან მიიტანთ და მისი რეალიზაციისათვის არ დაზოგავთ დროს და ენერგიას.

უხუცესთა
სათათბიროს დავალებით,
**შოთა ზოიძე**

წერილი აჭარის პირველ პირებს დღეს ჩაბარდებათ. უხუცესთა საბჭო უკან დახევას არ აპირებს. „საქართველოს რესპუბლიკასთან“ საუბარში ისინი აცხადებენ, რომ თუ აჭარაში არ გადაწყდება ეს საკითხი, რკინის ქალამნებს ჩაიცვამენ და საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვენ მხარდაჭერას.

„საქართველოს რესპუბლიკას“ ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა აჭარის უხუცესთა სათათბიროს თავმჯდომარემ **ამირან მამულაძემ:**

**„მე ვთვლი, რომ მარტო რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპაციაზე საუბარი არაა მართებული. საქართველო ისტორიულად ოკუპირებული იყო როგორც რუსეთის მხრიდან, ისე თურქეთის მიერ. საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთს ოკუპირებული ჰქონდა, როგორც სამცხე-ჯავახეთი, ასევე აჭარა და ტაო-კლარჯეთი, დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეები.**

**სამწუხაროდ, ახლა აჭარის ოკუპაციისთვის ახალი ნიადაგი მზადდება. უფრო სწორად, უკვე ოკუპირებულია იმ ხალხის მიერ, რომლებსაც იგი ადრე ჰქონდათ დაპყრობილი, ამის აღიარება დარჩა. მე, ვთვლი, რომ იგი უკვე ოკუპირებულია. მიმაჩნია, რომ ახალგაზრდობას ისტორია ცალმხრივად კი არ უნდა ვასწავლოთ, არამედ სრულყოფილად. ამაში კი აუცილებლად დაგვეხმარება ბათუმში ოტომანთა იმპერიის ოკუპაციის მუზეუმის გახსნა“.**

ბათუმში სულთან აზიზიეს სახელობის მეჩეთის მოსალოდნელი მშენებლობის შესახებ ვნებათაღელვას ისიც აძლიერებს, რომ არ გამოქვეყნებულა საქართველოს კულტურის სამინისტროსა და თურქეთის მხარეს შორის უკვე ხელმოწერილი შეთანხმება. საზოგადოება ითხოვს, საჯაროდ გაცხადდეს, რა ხელშეკრულებაზეა საუბარი. ჩნდება ეჭვი, რომ თურქეთის სასარგებლოდ დარღვეულია ნაცვალგების პრინციპი. ეს ასეა თუ არა, იმ ვიწრო წრემ იცის, ვინც ამ დოკუმენტსაა გაცნობილი. საზოგადოებას კი ისღა დარჩენია, მისი პოზიცია აქციებითა და მასმედიის საშუალებით გამოხატოს. 4 მარტს ბათუმში დაგეგმილია მასშტაბური აქცია, რომელზეც აღნიშნულ საკითხზე იქნება მსჯელობა.

**ამირან კილურაძე**

„საქართველოს რესპუბლიკის“ აჭარა-გურიის საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი.

P. S. ცოტა რამ ისტორიიდან. ქალაქის სახელი „ბათუმი“ მოდის ბერძნული სიტყვიდან — „ბათუსი“, რაც ღრმას ნიშნავს. მართლაც, ბათუმს შავ ზღვაზე სევასტოპოლის შემდეგ, ყველაზე ღრმა (მაქსიმალური სიღრმე 58 მ) და მოხერხებული ნავსაყუდელი აქვს. ბათუმის შესახებ პირველი ცნობები ძვ.წ-ის IV ს-ის ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს ნაშრომებში გვხვდება. ამ სახელით მხოლოდ მდინარეს იხსენიებენ მომდევნო ხანის რომაელი მწერალი პლინიუს უფროსი და ბერძენი გეოგრაფი ფლავიუს არიანე.

ბათუმსა და მის მიდამოებში, მდ. ყოროლისწყლის შესართავთან, მის მარცხენა ნაპირზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა (გორა, სადაც VI საუკუნეში ციხე აიგო, რომელსაც მოსახლეობა დღეს „თამარის ციხეს“ უწოდებს) ადასტურებს, რომ ეს მიდამოები ადამიანის მიერ ათვისებული იყო ჯერ კიდევ ძვ. წ. II — I ათასწლეულების მიჯნაზე.

ადრინდელ ანტიკურ ხანაში აქაურ მოსახლეობას გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან. რომის იმპერატორ ადრიანეს დროს (II ს.) დღევანდელი ბათუმის ტერიტორიაზე რომაელთა სამხედრო ბანაკი იყო. V ს-ში საქართველოს მეფემ ვახტანგ გორგასალმა იგი ქართლს შეუერთა.

ადრინდელ ფეოდალურ ხანაში, სხვა ზღვისპირა პუნქტებისაგან განსხვავებით, ბათუმი დაწინაურებული იყო, რასაც ხელს უწყობდა მისი მდებარეობა ქვეყნის შიდა რაიონებისაკენ მიმავალი გზების დასაწყისში. ფეოდალურ ხანაში ბათუმის ციხის გარშემო არსებობდა სოფლის ტიპის დასახლება, მაგრამ იგი ქალაქადაც იხსენიება (ამბროჯო კონტარინი). XIII საუკუნის დასასრულსა და XIV საუკუნის დასაწყისში ბათუმი ოდიშის მთავრებს — ბედიანებს ეკუთვნოდათ. XV საუკუნეში საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ გურიელების სამფლობელოა. 1547 წელს ქალაქი ოსმალებმა დაიკავეს. 1564 წელს როსტომ გურიელმა დაიბრუნა, მაგრამ მალე ისევ ოსმალთა ხელში გადავიდა.

1609 წელს მამია გურიელმა გაანადგურა ბათუმში მყოფი ოსმალთა გარნიზონი. მიუხედავად ამისა, ოსმალები კვლავ დაეუფლნენ ბათუმს. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, XVIII საუკუნეში ბათუმი მცირე ქალაქი იყო, რომელსაც საუცხოო ციტადელი ჰქონდა. ბერლინის ტრაქტატით 1878 წელს ბათუმი და სრულიად აჭარა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.

ა.კ.

## ინფორმაცია

### პასუხი სამი თვის ვადაში იქნებაო

**ბიძინა ივანიშვილისთვის** ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით სამოქალაქო რეესტრის პასუხი სამი თვის ვადაში იქნება, განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი ვაშაძემ.

ბიძინა ივანიშვილის ადვოკატები ნატურალიზაციის გზით მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსგან წერილობით დასკვნას ითხოვენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ქართული ოცნების“ იურისტმა ზაქარია ქუცნაშვილმა განუცხადა, სააგენტოს დასკვნის გაცემის ყველანაირი ვადა ამოეწურა.

— ბიძინა ივანიშვილისთვის ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მიცემის საკითხზე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 5 იანვარს მივმართეთ. წარდგენილი განცხადება 40 დღის განმავლობაში დადებითი დასკვნით უნდა დაკმაყოფილებულიყო ან მასზე უარყოფითი დასკვნა გაცემულიყო. 40-დღიანი ვადა 14 თებერვალს ამოიწურა, თუმცა მასზე არც დადებითი და არც უარყოფითი შინაარსის დასკვნა არ გაუციათ. რეესტრის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ მათ ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხზე დასკვნის გასაცემად ვადა თვის ბოლომდე ჰქონდათ. თებერვალიც დამთავრდა. აქედან გამომდინარე, ვითხოვთ, რომ ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობასთან დაკავშირებით წერილობითი ხასიათის დასკვნა დადონ, — განაცხადა ქუცნაშვილმა.

### სავიზო რეჟიმი ოფიციალურად გაუქმდა

**პრეზიდენტის** ინიციატივა, რუსეთთან სავიზო რეჟიმის ცალმხრივად გაუქმების შესახებ უკვე რეალიზებულია . „საკანონმდებლო მაცნეში“ უკვე გამოქვეყნდა პრეზიდენტის 28 თებერვლის ბრძანებულება, რომლის თანახმადაც ცვლილება „ვიზის გაცემის, გაგრძელებისა და მოქმედების ვადის შეწყვეტის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 28 ივნისის №399 ბრძანებულებაში შევიდა.

ბრძანებულების მიხედვით დადგინდა, რომ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს საქართველოში შემოსასვლელად და 90 დღემდე ყოფნისათვის ვიზა არ ესაჭიროებათ.

ბრძანებულება უკვე მოქმედებს.

### სასამართლოში სარჩელს შეიტანენ

**112-ის** მომსახურების გადასახადთან დაკავშირებით „კონსტიტუციის 42-ე მუხლი„ მომავალ კვირას სასამართლოში სარჩელს შეიტანს, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ნაზი ჯანეზაშვილმა.

მისივე თქმით, გადასახადის ამ ფორმით დაწესება საკუთრების უფლების ხელყოფაა.

— მთავრობის დადგენილებაში წერია, რომ გადასახადი განსაზღვრულია მომსახურების საფასურის სახით, თუმცა შესაძლებელია, გავიდეს წლები ისე, რომ ამ მომსახურებით არ ვისარგებლოთ, მაგრამ მაინც ვალდებულები ვართ, 112-ის მომსახურების თანხა გადავიხადოთ. მთავრობამ გადასახადის ამ წესით შემოღება ახსნა იმ მოტივით, რომ ჩვენ უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს, რაც არასწორია. მე თუ მინდა, დავეხმარები ვინმეს ჩემი სურვილით, — განაცხადა ჯანეზაშვილმა და აღნიშნა, რომ დახმარების ვალდებულებად გადაქცევა უსამართლო ნაბიჯია.

— მაინტერესებს, თუ ტელეფონით არ ვისარგებლებთ, რითი შეივსება 112-ის ბიუჯეტი, — აცხადებს „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ხელმძღვანელი.

### ტრანსპორტის მოძრაობა შეიზღუდება

**3 მარტიდან** გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობაზე შეზღუდვები დაწესდება.

— 3 მარტიდან დროებით შეიზღუდება გადაადგილება ფილარმონიის მხრიდან კოსტავას ქუჩაზე. ასევე, დაიკეტება მოძრაობა თამარაშვილის ქუჩიდან გმირთა მოედნის მიმართულებით არსებულ მაგისტრალზე, რადგან დაიწყება კოსტავას ქუჩისა და გმირთა მოედნის დამაკავშირებელი ესტაკადის მშენებლობა. აღნიშნული სამუშაოები 2012 წლის შემოდგომაზე დასრულდება და ფილარმონიის მხრიდან გმირთა მოედნისკენ სატრანსპორტო ნაკადი ახალი ესტაკადით იმოძრავებს, გაუქმდება შუქნიშანი და მოძრაობა უწყვეტ რეჟიმში იქნება შესაძლებელი, — აცხადებენ თბილისის მერიაში.

ინტერპრესნიუსი

№42. პარასკევი, 2 მარტი, 2012 წელი.

# მიუნჰაუზენის ზღაპრები...... ღრუბლებიდან მიწაზე დაბრუნება

## დეპუტატ ჯონდი ბაღათურიას გამოსვლა



**ბატონო პრეზიდენტო, ეს თქვენი ქონებრივი დეკლარაციაა....შევსებული 2004 წლის 3 თებერვალს, როცა პრეზიდენტი გახდით.....თქვენი ქონება საკმაოდ მოკრძალებული იყო მაშინ – 95 000 ლარად შეფასებული ბინა მეუღლის სახელზე, 9 500 ევრო ბანკ „სოსიე დე ჟენერალში“ და 3 500 ევრო „თიბისი“ ბანკში მეუღლის სახელზე... ჰო კიდევ, რუსული შავი ვილისი... სულ ეს არის, სხვა არანაირ ბიზნესს და შემოსავლის წყაროს არ ფლობდით არც თქვენ და არც თქვენი ოჯახის წევრები.**

თქვენი მამა ერთი ჩვეულებრივი, როგორც ამბობენ, კვალიფიციური ექიმი იყო, ხოლო დედა, ასევე ჩვეულებრივი მეცნიერი მუშაკი...თქვენი ძმებიც არანაირ ბიზნესს ან სხვა ტიპის შემოსავალს არ ფლობდნენ...

**დღეს თქვენ მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანი ხართ....თქვენ ფლობთ და აკონტროლებთ ნავთობის და ოქროს საბადოებს და საქართველოს თითქმის ყველა წიაღისეულ სიმდიდრეებს.... მთლიანად აკონტროლებთ საწვავის ბიზნესს, სარეკლამო ბიზნესს, ფლობთ მედია მაგნატ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს, რომელიც თქვენს თანაკლასელზე გაქვთ გაფორმებული.**

**თქვენი მამა არის საქართველოს ყველა ბალნეოლოგიური კურორტის მფლობელი.**

**ხოლო დედა ფლობს უმსხვილეს ბიზნესებს უმაღლესი განათლების სფეროში, მათ შორის მისი საკუთრებაა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (გეპეის) კუთვნილი 15 827 კვ.მ ფართი (წილში სიმბოლურად 200 ლარი აქვს გადახდილი)...**

**იგი ფლობს შპს „საუნივერსიტეტო ავეჯს“.**

**მას ეკუთვნის „გეპეის“ მე-3 კორპუსის მე-2 სართულზე განლაგებული უზარმაზარი კაფე „ ხადილი“...**

**ასევე 14 % „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის“, მას ეკუთვნის „შავი ზღვის უნივერსიტეტი“, რომელსაც პრეზიდენტის განკარგულებით პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცა სახელმწიფოს კუთვნილი 101 221 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწა (განკარგულება №127; 22.03.2007წ) და სხვა..... დროის სიმცირის გამო ვერ ჩამოვთვლი....**

ბატონებო, საინტერესო ის არის რომ მთელი ეს ქონება მოპოვებულია პრეზიდენტის განკარგულებებით, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფო ქონება პირდაპირ გადავიდა პრეზიდენტის ოჯახის წევრთა საკუთრებაში (1. განკარგულება 3127; 22.03.2007წ; 2. განკარგულება 3308; 20.06.2007 წ.ძ....

მიმდინარეობს მონოპოლიზაცია ბიზნესის უმაღლესი განათლების სფეროში და იქმნება ორი მონოპოლიური გაერთიანება – ერთი ბენდუქიძის და ერთი – დედათქვენის ხელმძღვანელობით.

ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, რომ მაღალი ფასებით უმაღლეს სასწავლებლებში პირადად თქვენ მდიდრდებით.

**თქვენი და თქვენი ოჯახის სწრაფი გამდიდრების პირდაპირ პროპორციულად ასევე სწრაფად გაღატაკდა სახელმწიფო და ხალხი...**

**ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით ქვეყანაში 900 000 კაცია რეგისტრირებული სიღატაკის პროგრამაში, კიდევ 600 000 ითხოვს ამ სტატუსს და მათ სახელმწიფო უარს ეუბნება უსახსრობის მომიზეზებით და 500 000 პენსიონერი, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებული სიღატაკის პროგრამაში და ცხოვრობენ 100-ლარიან პენსიაზე, რაც საარსებო მინიმუმის ნახევარია.**

მიუხედავად ამისა, ბოლო არ უჩანს თქვენს დროს ტარებას ბიუჯეტის ხარჯზე...მილიონები იხარჯება გასართობ პროგრამებზე და თქვენს პირად კომფორტზე.

ასე რომ, პენსიონერები, რომლებსაც 100-დოლარიან პენსიას შეჰპირდით და მოატყუეთ, შიშით ცხოვრობენ ქვითრიდან ქვითრამდე 20-ლარიანი ერთჯერადი ვაუჩერის მოლოდინში.

საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი პირდაპირ ამბობს, რომ საჯარო მოსამსახურის ოჯახის თითოეული წევრის მიერ წლის განმავლობაში მიღებული საჩუქარი არ უნდა აღემატებოდეს 1 000 ლარს.....აი ეს არის „ქართუ ფონდის“ ანგარიში, სადაც ვკითხულობთ, რომ **თქვენი მეუღლის დაფუძნებულმა „კლასიკური მუსიკის ასოციაციამ“ და მისმა რადიო „მუზამ“ 2009 წელს საქველმოქმედო ფონდ „ქართუდან“ მიიღო 456 342 ლარი, ხოლო 2010 წელს – 644 952 ლარი.**

საქართველოში მონოპოლიზებულია ბიზნესის ყველა დარგი და ყოველ მონოპოლიას სათავეში უდგას სწორედ პრეზიდენტის მიერ ხელდასხმული კლანის მეთაური...შესაბამისად იხურება საწარმოები, ხალხი კარგავს სამუშაო ადგილებს, მათი ქონება დაყადაღებული აქვთ სახელმწიფო ჩინოვნიკთა მფლობელობაში მყოფ ბანკებს და მევახშეებს....ბიზნესი და სამუშაოს უფლება ხელისუფლების წევრთა ექსკლუზიური პრივილეგიაა.

**ჩვენ ყველას გვახსოვს შევარდნაძისდროინდელი ორი ყბადაღებული კლანი – შევარდნაძეების და ახვლედიანების, დღეს ეს კლანები სააკაშვილებმა და ალასანიებმა ჩაანაცვლეს.**

თქვენ საბოლოოდ გაანადგურეთ სასამართლოს თავისუფლება და ამას ადასტურებს ოფიციალური სტატისტიკა: **2009 წელს სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული 18 354 პირის მიმართ და გამამართლებელი განაჩენი დადგა მხოლოდ 18 ანუ 0,001%. შესაბამისად ქვეყანაში გამეფებულია უკანონობა, ძალადობა, ციხეები გადავსებულია უკანონო, პოლიტიკური და სინდისის (კავკასიის ინციდენტი) პატიმრებით. მათი რიცხვი კიდევ 45 კაცით გაიზარდა 26 მაისის აქციის სასტიკი დარბევის შემდეგ.**

სამაგიეროდ, თავისუფლად დაპარპაშებენ ადამიანები, რომლებმაც ჩაიდინეს მკვლელობა და სხვა მძიმე დანაშაულები. ვალდებული ვარ, შეგახსენოთ გირგვლიანის, ვაზაგაშვილის, რობაქიძის და სხვა უდანაშაულო ახალგაზრდების მკვლელობები.

ყველას გვახსოვს, როცა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა დაიკავეს გორი და დაიძრნენ თბილისისკენ, მაშინ მთავრობის და ზოგიერთმა პარლამენტის წევრმა საფრთხის წინაშე მიატოვა ხალხი და სამარცხვინოდ გაიქცა წითელ ხიდზე საკუთარი ტყავის და ქონების გადასარჩენად.....ამისთვის პასუხი არავის არ უგია....კიდევ ერთხელ მოვუწოდებ პაატა დავითაიას, გამოაქვეყნეთ ამ ადამიანთა სია...

სხვათა შორის, ამ ომში დაღუპული გმირის გელა ჭედიას მშობლიური სკოლა, რომელიც მის სახელს ატარებდა, როგორც კი მიანიჭეთ მისი სახელი და თავი გაიპიარეთ, როგორც დაღუპულთა ხსოვნაზე მზრუნველმა, ზუსტად 2 კვირაში თქვენმა განათლების მინისტრმა დახურა.

**თქვენ 2-ჯერ ძალადობის გზით მიიტაცეთ ძალაუფლება. ერთხელ 2003-ში აი, აქ, ამ დარბაზში შემოიჭრით, და მეორედ 2008 წლის 5 იანვარს, როცა არჩევნები გააყალბეთ.**

დღეს თქვენ ველარ ელევით მიტაცებულ ძალაუფლებას, თქვენს ინტერესებზე მოირგეთ კონსტიტუცია და ცდილობთ ძალაუფლების შენარჩუნებას სრულიად უკანონო გზით. **ამ კონსტიტუციის წინააღმდეგი იყო მთელი ქართული საზოგადოება, მთელი პოლიტიკური სპექტრი, გარდა რამდენიმე თქვენი სატელიტური ორგანიზაციის, როგორიცაა: ჩახვაძე, თარგამაძე, დავითაია და ა.შ.**

ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით თქვენ აგრძელებთ ანტიეროვნულ, ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას და ცდილობთ, ბათუმის ცენტრში ააშენოთ თურქ-ოსმალთა იმპერიის სულთნის აზიზიეს სახელობის მეჩეთი, სიმბოლო ოსმალთა იმპერიის ბატონობისა საქართველოზე.... .სიმბოლო საქართველოს დამარცხებისა.

თქვენ ხშირად ცდილობთ, პარალელები გაავლოთ ქართველ მეფეებთან, რომელთანაც არაფერი საერთო არ გაქვთ.

თუ რომელიმე მეფეს მაგონებთ ეს არის როსტომხანი, ტომით ქართველი, აღზრდით და ცნობიერებით – სპარსი.....ყიზილბაში... ამიტომაც თქვენ, ისევე როგორც როსტომ-ხანი, თავგანწირვით ებრძვით საქართველოს ეკლესიას, ქართულ კულტურას, ტრადიციებს, ქართულობის ყოველგვარ გამოვლინებას....

მინდა გაიგოთ, საქართველოში აღარავის ბატონობის სიმბოლო აღარ აშენდება...არც რუსეთის და არც ოსმალეთის....

ამ მოკლე გამოსვლით დღეს აქ, პარლამენტის დარბაზში მე გადმოვეცი ხალხის აზრი, ვთქვი ხალხის სათქმელი...



# ჯონდი ბაღათურია: სააკაშვილი პარლამენტიდან ყვირილ-ყვირილით გარბოდა, კინაღამ წაიქცა კიდეც

***28 თებერვალს პარლამენტში, პრეზიდენტ სააკაშვილის ანგარიშით გამოსვლის შემდეგ გამართულ დებატებში, მთავარ მოვლენად ოპოზიციონერი დეპუტატის ჯონდი ბაღათურიას მიერ სააკაშვილის ოჯახის კორუფციაში დადანაშაულება და მასთან ურთიერთშელაპარაკება გახდა, რის გამოც, პრეზიდენტმა სხდომათა დარბაზი ცოტა ხნით დატოვა კიდეც. ჯონდო ბაღათურია მიხეილ სააკაშვილის რეაქციას „არაპრეზიდენტულს“ უწოდებს და მის „პოლიტიკურ დასასრულად“ მიიჩნევს.***

***პარლამენტში მომხდართან დაკავშირებით საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ ჯონდი ბაღათურიას ესაუბრა.***

**– ბატონო ჯონდი, პარლამენტში პოლიტიკური დებატებისას თქვენი სიტყვით გამოსვლის დროს პრეზიდენტის რეაქციას როგორ შეაფასებთ?**

– პრეზიდენტის რეაქცია იყო სრულიად არაპრეზიდენტული. მან თავისი პოლიტიკოსობა დაასრულა. დილით უკვე ყველა ქვეყნის ლიდერმა იცოდა თავისი საქციელის შესახებ; იმის შესახებ, რომ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დოკუმენტურად პირდაპირ კორუფციაში ვამხილეთ, რომ ის მწყობრიდან გამოვიდა და გაიქცა; რომ უზრდელობდა და პარლამენტის წევრისთვის შეურაცხყოფის მიყენებას ცდილობდა და იმუქრებოდა. ასეთი რამ მსოფლიოში არ ხდება. ამას არც დიქტატორები სჩადიან. ეს არც დიქტატორის საქციელი იყო. თუმცა აქ შეჩერებას არ ვაპირებთ. უახლოეს დღეებში დიპლომატიურ კორპუსთან სამოქალაქო საზოგადოების შეხვედრის ორგანიზება იგეგმება. იქ წარვადგენთ ყველა დოკუმენტურ მასალას პრეზიდენტის უკანონო და კორუფციული მოქმედებების შესახებ.

**– თქვენი მისამართით მის გამონათქვამებს თავშეკავებით ისმენდით. ეს უკანდახევა იყო?**

– საიდან მოიტანეთ, რომ არ მიპასუხია?! იმ დროს დარბაზში არ იყავით?!

ადამიანის საქციელი მის აღზრდას აჩვენებს. მან პატივი ჯერ საკუთარ თავს, საკუთარ ოჯახს, იმ დარბაზს და იმ საზოგადოებას უნდა სცეს, ვინც იქ იყო და ვინც გვისმენდა. ზრდილობა აუცილებელია, მაგრამ პასუხის გაცემაც აუცილებელია. ამიტომ პასუხი გავეცი, მაგრამ უზრდელობას თუ დავიწყებდი, იგივე სააკაშვილი უნდა ვყოფილიყავი. პრეზიდენტმა საქციელი საერთოდ დაკარგა და გაიქცა პარლამენტიდან, ყვირილ-ყვირილოთ გარბოდა, კინაღამ წაიქცა კიდეც. მერე რამდენიმე კაცი გაჰყვა და დარბაზში დააბრუნეს.

ყველაფერზე პასუხი გავეცი. მეტი რაღა უნდა მეთქვა, გინებას ხომ არ დავიწყებდი? სააკაშვილი ხომ არ ვარ?!

**– პრეზიდენტი ამ ინციდენტიდან დარბაზში მალევე დაბრუნდა. რითი ახსნით ამას?**

– დააბრუნეს. ხალხი გაჰყვა და დააწყნარეს.

**– იმ დროისათვის დარბაზში ელჩები იყვნენ?**

– აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ელჩებს პირადად ვხედავდი. კიდევ იყო რამდენიმე ელჩი. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ სააკაშვილმა, როგორც პოლიტიკოსმა, თავისი მოღვაწეობა დაასრულა.

## გამოხმაურება

# ერთი მამალი და დანარჩენი ჯენტლმენი დეპუტატები

***სააკაშვილი, როგორც პოლიტიკოსი, დასრულდა! – ეს ჯონდი ბაღათურიას დიაგნოზია. და ამ დიაგნოზისთვის „კლოუნად“ შეირაცხა, თუმცა სოციალური ქსელის გმირი გახდა.***

***კითხვაზე – „ვინ მეტად ამაღლდა თქვენს თვალში საპარლამენტო გამოსვლის ხილვის შემდეგ?“ – უმრავლესობამ ჯონდი ბაღათურია შემოხაზა.***

***არა მარტო ქების სიტყვები, ლექსებიც კი დაიწერა. გთავაზობთ კომენტარებს:***

**„ყოჩაღ, ჯონდი... სულ ქოში აყრევინე მიშას... ისე იყო გაბრუებული, რომ დარბაზიდან გავარდა... მერე მასწავლებლებმა უთხრეს, კლასში შეეთრიეთ და დაბრუნდა... ქდმ-ს დავარცხნილი „შებრძოლების“ მერე, რომელზეც ნავარჯიშევი და შეგუებული იყო, აბსოლუტურად აუტანელი აღმოჩნდა მისთვის ჯონდის, მართლაც, მწარე სიმართლის მოსმენა... პრეზიდენტად წოდებული გაგიჟდა, ტანზე შემოიხია, სურათები დაგლიჯა და გადმოყარა, დაემუქრა ტალახში გორაობით...**

**და რა მოხდა სინამდვილეში? სინამდვილეში მიშა ჩაეფლო ტლაპოში, რომელსაც ვერაფერი ჩამორეცხავს...**

იხ. 4 გვ.

# მიბაძეთ ჯორჯ ვაშინგტონს და ნუ გახდებით ვლადიმერ პუტინი!

## დეპუტატ გიორგი ცაგარეიშვილის გამოსვლა

**ჩვენ მოვისმინეთ თქვენი ბოლო საპრეზიდენტო გამოსვლა. თქვენი კარიერის დასასრულს, მინდა, რეალობაში დაგაბრუნოთ და გაგახსენოთ, როგორ დაიწყეთ ეს გზა – ფოტოებით შეიარაღებული, შევარდნაძის მთავრობის წევრებს კორუფციაში ამხელდით! ახლა კი მე მინდა, თქვენი თანაგუნდელების სახლების ფოტოები გაჩვენოთ.**

ეს თქვენი პირველი მინისტრის – **ვანო მერაბიშვილის** სახლია.

ეს ბენზინის მაგნატის, ყოფილი მინისტრის, თქვენი მეგობრის **დავით კეზერაშვილის** სახლია.

**თქვენ ამბობთ, რომ საწვავის ფასი საქართველოში მსოფლიოში განვითარებული მოვლენების გამო იზრდება, არადა სწორედ თქვენ ადგენთ ამ ფასებს. რით ახსნით იმ ფაქტს, რომ ხუთი სხვადასხვა კომპანია ერთ დღეს, ერთ დროს, ერთი და იგივე მოცულობით უმატებს ფასს საცალო ბაზარზე, როგორც ეს 13 და 26 თებერვალს მოხდა? ნუთუ ერთ კომპანიასაც არ ჰქონია მარაგი, რომ კონკურენცია გაეწია სხვებისთვის? სხვა არაფერია თუ არა კარტელური შეთანხმება, რომელიც კანონით ისჯება.**

ასეთი მონოპოლიური საქმიანობის შედეგია ის, რომ საქართველოში ფასები იზრდება პირველადი მოხმარების საგნებზე და, პირველ რიგში, პურზე.

პური საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ერთადერთი საკვები პროდუქტია. ხორცი კი ნამდვილ დელიკატესად იქცა. ეს კი იმ მონოპოლიების ბრალია, რომელიც ბიზნესის ამ სფეროში დაამკვიდრეთ. ეს თქვენი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის **კოტე კუბლაშვილის** სახლია. კუბლაშვილისა, რომელიც გამამტყუნებელი განაჩენების 99,8 %-იანი მაჩვენებლით იწონებს თავს და საქართველო მსოფლიოში მოწინავე პოზიციაზე გაიყვანა პატიმართა რაოდენობის მიხედვით.

აქ უნდა მობრძანებულიყო დედაქალაქის მერი **გიგი უგულავა,** რომელმაც თბილისელებისთვის დასუფთავების ახალი გადასახადი შემოიღო და ჩვენს მოქალაქეებს, უმძიმესი ზამთრის პირობებში მილიონობით ლარი ამოაცალა ჯიბიდან. წელს კიდურების მოყინვით ათობით ადამიანი მოათავსეს საავადმყოფოში, რამდენიმე კი გარდაიცვალა.

აქ ბრძანდება ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი **კობა სუბელიანი,** რომლის მთავარი საზრუნავი დევნილთა საღებავშეუშრობელი საცხოვრებლების წითელი ლენტის გაჭრაა, და არა ის, თუ როგორ და რა პირობებში იცხოვრებენ დევნილები.

თავდაცვის მინისტრი **ბაჩო ახალაია,** რომლის უწყებაში სასტიკი წამებით მოკლეს შეიარაღებული ძალების ვეტერანი სერგო თეთრაძე.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი **ხათუნა კალმახელიძე,** რომელმაც ჯერ არნახულ ნიშნულზე აიყვანა სიკვდილიანობის მაჩვენებელი საქართველოს ციხეებში. მისი მოღვაწეობის შედეგი მხოლოდ გასული წლის პირველ ნახევარში გარდაცვლილი 77 პატიმარია. ჩვენ ველოდებით სახალხო დამცველის გასული წლის საბოლოო მონაცემებს, რომელსაც თქვენი პარტია ზუსტად ისევე „მიიღებს ცნობად“, როგორც წლების მანძილზე აკეთებთ. თქვენს მიერ ნულოვანი ტოლერანტობის გამოცხადების მერე საქართველოს ციხეებში 650-მეტი პატიმარია გარდაცვლილი.

იუსტიციის მინისტრი **ზურაბ ადეიშვილი,** რომელმაც სწორედ ეს თქვენი მითითება ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ ბრწყინვალედ შეასრულა. **25 000** პატიმარი ციხეში გამოკეტა, **ათიათასობით** კი პრობაციონერად აქცია.



განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი,** რომელმაც გასულ წელს საჯარო სკოლების ე.წ. ოპტიმიზაციის პროცესი განახორციელა. შედეგად – **ასეულობით** სკოლა დაიხურა და **ათასობით** პედაგოგი უმუშევარი დარჩა. სულ რაღაც ერთი კვირის წინათ, თქვენმა „წარმატებულმა“ მინისტრმა თბილისის სპეციალიზებული, ლოგოპედური სკოლა დახურა, მეტყველების პრობლემის მქონე 140 ბავშვი და 30-მდე მასწავლებელი ქუჩაში დატოვა.

**თუმცა რა უნდა გაგიკვირდეს იმ პრეზიდენტის მინისტრისგან, რომელმაც ამ დარბაზში 14 წლის ბავშვი პირდაპირ კრიმინალად გამოაცხადა?**

მე 2 წლის წინათ, ამ დარბაზში, ხელიდან ხელში გადმოგეცით ნაცემი და ნაწამები ოპოზიციის მომხრეების სია. **ამ სიას ჩახედეთ? რა თქმა უნდა, არა! იქნებ ამ ფოტოებს მაინც დახედოთ და აქვე აგვიხსნათ, საჯარო მოხელეებმა როგორ აიშენეს ასეთი სასახლეები, როდესაც მოხელის ხელფასით ეს შეუძლებელია?**

ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, თქვენ მხოლოდ ნაცმოძრაობის პრეზიდენტი ხართ და, სამწუხაროდ, ასეთად დარჩებით საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე. თქვენ სხვებს უწოდებთ „წარსულში ჩარჩენილებს“, თუმცა სწორედ თქვენ და თქვენი გუნდი ხართ იმ წარსულის განუყოფელი ნაწილი, როცა **„მოქალაქეთა კავშირის“** საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე იყავით (სხვათა შორის, ეს ფაქტი, ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული თქვენი ბიოგრაფიიდან ამოშლილიაძ. თქვენი პრეზიდენტობის დროს **კორუფცია** გახდა ელიტური და ამის თვალსაჩინო მტკიცებულება თუნდაც ეს ფოტოებია.

**რით ხსნით იმას, რომ თქვენი ოჯახის წევრები თქვენი გაპრეზიდენტების შემდეგ მსხვილი მეწარმეები გახდნენ?**

თქვენი წარმოსახვით საქართველოში ყველა ბედნიერი და კმაყოფილია, ყველა მადლობას უხდის პრეზიდენტსა და მთავრობას. მაგრამ გაგიწყდებათ, რომ არსებობენ **რეალური ადამიანები** რეალური პრობლემებით, მათ შიათ, წყურიათ, არ აქვთ სამსახური, კარგავენ საყვარელ ადამიანებს, რადგან არა აქვთ მათი მკურნალობის საშუალება. ცხოვრობენ დევნილობაში, შეურაცხყოფილები, მიტოვებულები. უამრავი თქვენი მოქალაქე ციხეებშია გამომწყვდეული, ბევრი მათგანი – პოლიტიკური ნიშნით. პატიმრებს არაადამიანურად ეპყრობიან, აწამებენ და კლავენ. ამის უკანასკნელი მაგალითი გუშინ მოხდა ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთში, როცა ხაშურის რაიონის პოლიციამ სასტიკად აწამა და წამებაში მოკლა ამ სოფლის მაცხოვრებელი სოსო ქიმერიძე. იგი ისეა ნაცემი და ნაწამები, რომ მთელი სხეული სისხლჩაქცევებით აქვს დაფარული. სოციალურ ქსელებში უკვე გავრცელდა ფოტო ამ შემზარავი დანაშაულისა. ძალიან სამწუხაროა, რომ შსს მინისტრი აღარ იმყოფება დარბაზში. რა გასაკვირია, რომ ქვეყანაში, რომელიც თქვენს ხელში უბედურია, უბედური ადამიანები ცხოვრობენ. როგორც ოთარ ჭილაძემ თქვა: **„ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია“ .**

**რეალურ საქართველოში მოკლეს რობაქიძე, მოკლეს გირგვლიანი, მოკლეს ვაზაგაშვილი, მოკლეს გამცემლიძე. რეალურ საქართველოში ისეთ უდანაშაულო ადამიანებს სვამენ ციხეში პოლიტიკური ნიშნით, როგორიც სენაკელი რევაზ ხულორდავაა. რეალურ საქართველოში არსებობენ ზვიად ხმიადაშვილები, ვისაც თქვენ ოპოზიციის წარმომადგენლების დაპატიმრებას ავალებთ.**

შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი უმუშევარია, მილიონზე მეტი ადამიანი ქვეყნიდან გადახვეწილია. **თქვენ სულ რეიტინგებით გვესაუბრებით. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, სოფლად მაცხოვრებელი მოქალაქეების 64 პროცენტი ღატაკია. არადა ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ 2004 წელს გთავაზობდათ სოფლის მეურნეობაში 1 მილიარდი ლარის ინვესტირებას, რაზეც თქვენ უარი განაცხადეთ.**

თქვენმა საპარლამენტო უმრავლესობამ, ფაქტობრივად **ერთი კაცის** გამო გადაწერა ქართული კანონმდებლობა. ეროვნული ბანკისგან სადამსჯელო ინსტიტუტი შექმნა, კონტროლის პალატა პროკურატურის დანამატად აქცია, ქვეყანაში მოქმედ პოლიტიკურ ძალებს **დისკრიმინაციული კანონი** მოახვია თავს, რომლის გამო ჩვენი საზოგადოება, სრული შემადგენლობით ე.წ. „დაკავშირებულ“ პირად გამოაცხადა. ნაციონალური მოძრაობა უფრო შორსაც წავიდა და კანონს უკუქმედებითი ძალა მიანიჭა, რაც შემდეგ თაღლითური გზით უკან წაიღო. საკანონმდებლო დონეზე ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ **„ქართუ-ბანკი“** გაეკოტრებინა. პოლიტიკური დევნის პროცესში შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაერთო, რომელმაც „ქართუ ბანკის“ საინკასაციო მანქანა დააყაჩაღა, საბაჟო სამსახური კი დღემდე მონდომებით სპობს და ანადგურებს „ქართუ ჯგუფში“ შემავალი კომპანიების კუთვნილ ტვირთებს. ეჭვგარეშეა, რომ ამ უკანონო ქმედებების წყებას თქვენ დაუდეთ სათავე, როდესაც ბატონ ბიძინა ივანიშვილსა და მის მეუღლეს საქართველოს მოქალაქეობა უკანონოდ ჩამოართვით.

**მე უფლებამოსილი ვარ, იმ ადამიანების სახელით, ვინც ნახევარ მილიონზე მეტი ხელმოწერა შეაგროვა ბატონი ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით, მოგიწოდოთ, დაუბრუნოთ ბატონ ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა.**

**მიიღეთ გამოწვევა, უზრუნველყავით ყველასთვის თანაბარი საარჩევნო პირობები!**

თქვენ ყველაფერს აკეთებთ, რომ როგორმე თქვენი გუნდი დარჩეს ხელისუფლებაში, მაგრამ ამას ველარ შეძლებთ, რადგან ქართველი ხალხისთვის და მსოფლიო საზოგადოებისთვის თქვენ უკვე **გუშინდელი დღე** ხართ. თქვენ ჯერ კიდევ გაქვთ შანსი, ჩაატაროთ დემოკრატიული არჩევნები, მიბაძეთ ჯორჯ ვაშინგტონს და ნუ გახდებით ვლადიმერ პუტინი! მიეცით ქართველ ხალხს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა!!

საქართველო მალე გააკეთებს ღირსეულ არჩევანს და, ნაციონალური მოძრაობის დამარცხების შემდეგ, ქვეყანაში ნამდვილად დამკვიდრდება მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემა, შეუქცევადი გახდება **ევროკავშირსა და ნატოში** ინტეგრაცია, დაიწყება ქვეყნის გამთლიანების პროცესი, უზრუნველყოფილი იქნება მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების ხელშეუხებლობა, ჩვენ განვავითარებთ წვრილ და საშუალო ბიზნესს, სოფლის მეურნეობა რეალურად გახდება ახალი მთავრობის პრიორიტეტი. ჩამოყალიბდება ისეთი ქართული სახელმწიფო, რომელიც თითოეული მისი მოქალაქის ბედზე იზრუნებს. ქართველი ხალხი გაიმარჯვებს და ახდება ქართული ოცნება.

## გამოხმაურება

# ერთი მამალი და დანარჩენი ჯენტლმენი დეპუტატები

(მესამე გვერდიდან) **მიშა არის დამნაშავე და სამარცხვინო არსება, რომელიც არანაირი სახით არ უნდა დარჩეს ხელისუფლებაში... ეს დაღუპავს ქვეყანას... ერთადერთი გამოსავალი... ყველანი არჩევნებზე და „სისხლისმღვრელი“ ბრძოლა ხმების დასაცავად...“**

**„მაგარი იყო ძალიან!“**

**„ყველაფერი სიმართლე თქვით...“**

**„ჯონდი გაიხარე...“**

**„გილოცავ, ჯონდი! ისტორიის წიგნში შესატანი მოვლენა! როგორ გააცოფე და გააქცუნე პრეზიდენტი დარბაზიდან!“**

**„ჯონდი, მაგარი რო იყავი, ვიცოდი, მაგრამ ასეთი მაგარი? ჯიგარი ხარ, წარმატებებს გისურვებ..“**

**„უზრდელია, თუ მართალი ხარ, როგორ შეიძლება შუა მხილების დროს ადგე და უნამუსოდ გაიპარო და მერე ლადაობა დაიწყო, აბანოებიო და რაღაცები.....დამთავრდეს, ეს ღორი მალე მოშორდეს რა ქვეყანას! მადლობა ღმერთს, რო ერთი სული და გულით მართლმადიდებელი და ჭეშმარიტი სიმართლის მთქმელი ოპოზიციონერი რასაც ჰქვია, ჰყავს საქართველოს ჯონდის სახით. ვითომ ოპოზიციონერებო, კიდევ ჯონდის მიბაძეთ!“**

**„ტაში ჯონდის! სიმართლე პირში მიახალა!“**

**„ყველაზე დიდი ბრავო ჯონდის, დიდი ტაში და აპლოდისმენტები.... და უბრალოდ ყოჩაღ!“**

**„მალადეც, გაიხარე, ეგრე უნდა პირში მიახალო ყველაფერი; აბა, ყველა რომ თავს იკავებს და ზურგს უკან ილანძღებიან?! ეგ რა ვაჟკაცობაა და რა მამულიშვილობა, თუ არ თქვი კაცმა, რაც სიმართლეა და აუცილებელი, რომ ამ ხალხმა გაიგოს, რომ მონად სჭირდება ქართველი ერი მაგას მარტო და ტურისტები აგულავოს, რო ფულები დააყაჭინოს აქ; ეგ არი მაგის მიზანი და ოცნება...“**

**„ჯიგარი ხარ, ჯონდი!“**

**„გმირობას ვერ იყიდი...კაცი მართალი უნდა იყო და არა ფლიდი, ისტორიაც არ გაგრიყავს...სხვა თუ არაფერი, ხალხს ეყვარები. ესაა გზა ჭეშმარიტებისა...“**

**„ის არ არის შტირლიცი და ბონდი,**
**მან არ იცის მაიკროსოფტ ვორდი,**
**მერსედესზე გაუცვლია ფორდი;**
**დადის, როგორც ინგლისელი**
**ლორდი.**
**ყურადღება, პარლამენტო, სწორდი!**
**რის ლავროვი, რის რაისი კონდი?!**
**არც კრემლი და არც**
**სოროსის ფონდი,**
**საქართველოს გადაარჩენს ჯონდი.“**



სოციალურ ქსელში ჯონდის ფოტოც გაჩნდა თავზე მამლის ბიბილოთი. კომენტარებმაც არ დააყოვნა:

**„ჯონდ-ჯულა!“**

**„ვაა რა ძაან მაგარი ფოტოა, ფაქტობრივად შედევრი შეუქმნია ავტორს:“**

**„მოუხდა იცით...**

**„ვაიმეეეეეეეეეეეეეეეე“**

**„კითხვა: რა სარგებლობა მოაქვს ჯონდის?**

**პასუხი: ჩინჩლავს.**

**„გუშინ მართლა კი დაჩინჩლა მიშა...“**

**„გეექცა, არ გაუჩერდა ბოლომდე!“**

**„მასეთ დროს „მოსისხლე მტრად“ გადაკიდებული ცოლიც არ გეექცევა კაცს...“**

**„მოიყვანს ერთი მამალი გაზაფხულს?“**

**„ჯონდის ისეთი მასტერ კლასი ჩაუტარეს, თმა კინაღამ ამოუვიდაო... თმა კი არა, ბიბილოოო...“**

**„ტიპი ტყეში დაიკარგება და უცებ ერთ სახლს წააწყდება, სადაც მარტოხელა ქალი ცხოვრობს. მივა და სთხოვს:**

**– შენი ჭირიმე, წყალი დამალევინე, მადლი მოისხიო.**

**– წყალი რომ დაგალევინო მერე სექსიც მოგინდებაო!!!**

**– როგორ გეკადრებათ ქალბატონო, მე ჯენტლმენი ვარო!**

**დაალევინებს.**

**– იქნება საჭმელიც გქონდეთ ცოტაოდენი, ძალიან მშიაო.**

**– საჭმელი რომ გაჭამო, მერე სექსიც მოგინდებაო!**

**– როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, მე ჯენტლმენი ვარო!**

**აჭმევს, დააპურებს, მერე დაძინებას მოსთხოვს ეს კაცი, ქალი ისევ მიანიშნებს, რომ მერე სექსი მოუნდება, ეს ტიპიც ჯენტლმენობას ამტკიცებს...**

**მოკლედ, დილით გაიღვიძებს ეს კაცი და რას ხედავს, ეზოში ერთი დედალი (ქათამი) დარბის და 25 მამალი.**

**– ეს რა ამბავია, რად უნდა ერთ დედალს ამდენი მამალიო?**

**– აქედან ერთია მამალი, დანარჩენები ჯენტლმენები არიანო!**

**ჩვენც ვამაყობთ ჩვენი „ჯენტლმენი“ დეპუტატებით!.. “**

**ნატა ნიბლაძე**

თვალსაზრისი

# „სააკაშვილისთვის მძიმე იყო ჩინოვნიკთა სრასახლების ფოტოების აფრიალება“

პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლას აფასებენ „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი **დავით ზურაბიშვილი** და ექსპერტი **ხათუნა ლაგაზიძე.**

დავით ზურაბიშვილის თქმით, ეს იყო პარლამენტში პრეზიდენტის არა გამოსვლა, არამედ – დარბაზიდან გასვლა, გავარდნა და შემდეგ მისი მობრუნება, რაც, ალბათ, ვილაცის რჩევით მოხდა.

**„ამ ადამიანმა ძალიან თვალნათლივ დაანახვა ყველას, რომ იგი უკვე გუშინდელი დღე და წარსულია. მართალია, ძალიან ცდილობდა, ეთქვა, რომ არსად არ წავალ, დავრჩები, ჩემი გუნდი იქნებაო, მაგრამ მთელი მისი პათოსი, მისი რეაქცია იმ კრიტიკაზე, როდესაც ის რეაგირებდა კორუფციის თუ სხვა ფაქტებზე, თვალნათლივ მიუთითებდა, რომ იგი პოლიტიკური ნდობის რესურსით სრულიად ამოწურული ადამიანია. ვფიქრობ, მისი პარლამენტში მისვლა კარგი ნიშანია იმისა, რომ მან სრულად ამოწურა შესაძლებლობები და წარმავალი ფიგურაა. ის გრძნობს მოახლოებულ სუნთქვას, რაც ბიძინა ივანიშვილის კოალიციის სახით მოდის,“** – აცხადებს დავით ზურაბიშვილი.

რაც შეეხება ოპოზიციის გამოსვლას, დავით ზურაბიშვილის აზრით, პრეზიდენტს „ქრისტიან-დემოკრატებისგან“ განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს, რომ ნაციონალური მოძრაობა დარჩეს ხელისუფლებაში. ამის პარალელურად, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ამით სააკაშვილმა გამოწვევა გაუგზავნა არა მხოლოდ ქართველ ამომრჩეველს, არამედ დასავლელ პარტნიორებსაც. სულ რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის ძალიან მკვეთრი განცხადება მოვისმინეთ, როდესაც მან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფართო შემადგენლობასთან შეხვედრისას პირდაპირ განაცხადა ორი რამ: ერთი, რომ ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრების უმთავრესი პირობაა არჩევნების სამართლიანად, დემოკრატიულად ჩატარება, რომ ქართველ ხალხს უნდა მიეცეს თავისი ნების ობიექტურად გამოვლენის საშუალება. მეორეც, მან პირდაპირ დაუკავშირა ნატოსა და ევროკავშირში გაწევრება 2012-13 წლებში საქართველოში არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას“.

ხათუნა ლაგაზიძის თქმით, აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლმა თქვა ერთი ძალიან საინტერესო ფრაზა, რომ ძალიან მნიშვნელოვა-



ნია სხვადასხვა სახის სამხედრო მისიებში მონაწილეობა, სამხედრო აღმშენებლობა, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია, არმიამ დემოკრატიულ საზოგადოებაში თავისი როლი და ადგილი იცოდეს. კერძოდ, აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის თეზა ასეთია, რომ არმია უნდა იყოს აპოლიტიკური და ეს, არა თეორიულად, არამედ საკუთარ თავზე უნდა იგრძნოს თითოეულმა მოქალაქემ, ჯარი (ზოგადად შეიარაღებული ძალებიც) არ უნდა ჩაერიოს არჩევნების პროცესში რომელიმე პოლიტიკური მხარის სასარგებლოდ.

შეურაცხყოფა არ მიუღია და სიამტკბილობით რეაგირებდა მათ კრიტიკაზე. ცაგარეიშვილის გამოსვლაზე კი აშკარად მოეშალა ნერვები, რადგან სააკაშვილისთვის მძიმე იყო ჩინოვნიკების სახლების ფოტოების აფრიალება.

**„მისთვის მძიმე იყო, როცა ჩინოვნიკების ქონების სურათები ანახეს და შემდეგ უკვე ნერვებაშლილს ჯონდი ბაღათურიას გამოსვლაზე კიდევ უფრო აეშალა ნერვები, წამოხტა და გაიქცა. მერე მოაბრუნეს, ეტყობა, დაამშვიდეს. ოპოზიციის გამოსვლა სააკაშვილმა მტკივნეულად განიცადა. პრაქტიკულად, სისულელეები უპასუხა, რომ მერაბიშვილი გაღლეტილია, ადეიშვილს სახლი არ აქვს და დაიწყო ასეთი სისულელეების ლაპარაკი“,** – აღნიშნა დავით ზურაბიშვილმა მიხეილ სააკაშვილის პარლამენტში მისვლის შეფასებისას.

პრეზიდენტის პარლამენტში ვიზიტის შემდეგ ექსპერტ ხათუნა ლაგაზიძეს შთაბეჭდილება დარჩა, რომ გუშინ ღიად გამოცხადდა ნაციონალების მზადყოფნა ხელისუფლებაში ბოლომდე დასარჩენად. ექსპერტის აზრით, სწორედ ეს იყო არსებითი მესიჯი, რაც სააკაშვილმა დასავლელ პარტნიორებსაც გაუგზავნა.

**„ამისთვის მზადყოფნა პრეზიდენტს არც დაუმალავს, როდესაც**

**„ამ ფონზე, როდესაც ნაციონალური მოძრაობა, მისი ლიდერის სახით, აცხადებს სრულ მზადყოფნას იმისთვის, რომ სრული რესურსით ჩაებას ხელისუფლებაში დასარჩენად, მაძლევს საფუძველს, ვიფიქრო, რომ ეს არის გამოწვევა არა მხოლოდ საკუთარი ამომრჩევლის, არამედ დასავლელი პარტნიორების მიმართაც, რაც სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენებს ქვეყანას. სხვათა შორის, 2003 წელსაც კი, არჩევნების წინა პერიოდში, მსგავსი სიმკვეთრის განცხადება აშშ-ს საქართველოს მისამართით არ გაუკეთებია“,** – აღნიშნა ხათუნა ლაგაძიზემ.

**მანანა ნოზაძე,**

Presage.tv

რა ვქნათ?

# ცამეტი ცეცხლოვანი რაში...

**რა უნდა ვქნათ რუსეთში დაუყოვნებლივ და აუცილებლად**



**თემურ ზულფიკაროვი (მამით ტაჯიკი, დედით რუსი), 1936 წელს დაბადებული, რუსი პოეტი, პროზაიკოსი და დრამატურგია. ავტორია პროზისა და პოეზიის 20 წიგნისა, რომელთა საერთო ტირაჟმა მილიონ ეგზემპლარს გადააჭარბა, რამდენიმე რუსული და საერთაშორისო პრემიის ლაურეატია. დასავლეთში „რუსული ლიტერატურის დანტედ“ არის ცნობილი.**

**თუ ძველ სამყაროში კანონებს ხშირად ლექსად წერდნენ, თემურ ზულფიკაროვი მეტაფიზიკურ პუბლიცისტიკას, ანუ პუბლიცისტურ მეტაფიზიკას წერს. ასეთი არისტოტელესეული ჟანრით პოეტი და ბრძენკაცი მკითხველს თავის ცამეტ პასუხს სთავაზობს მარადიულ რუსულ კითხვაზე: „რა ვქნათ?“**

**თემურ ზულფიკაროვის ეს მრავალმხრივ საყურადღებო რუსული ტექსტი ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა.**

## თემურ ზულფიკაროვი

*სიტყვა იქცა ხორცად.*
*იოანეს სახარება.*

*... რუსეთი ჯერეთ არ დაღუპულა,*
*სანამ ჩვენ ცოცხლები ვართ,*
*მეგობრებო...*
*ვლადიმერ სოლოუხინი.*

... რუსეთი დაქანცულია.

ყველანი ილაჯგაწყვეტილნი ვართ გაუთავებელი ოცწლიანი რიალ-მარცხითა და დაკნინება-დამცრობით...

რუსეთი ბრძოლის ველზე დაცემულ მძიმედ დაკოდილ მეომარსა ჰგავს. რაც შეიძლება სწრაფად სამხედრო-საველე დასტაქარი ეჭირვება და არა სადმე კაბინეტში წამოსკუპებული ყბედი-ფსიქოლოგი...

ქვეყანაში სუფევს უღმერთობა, უსულგულობა, უგზოობა, უფულობა, ლოთობა, უშვერი ლანძღვა-გინება, საყოველთაო სილატაკე, ძალადობა, სისხლი, ადამიანური ღირსებისა და თვით ცხოვრების აზრის ქირდვა-დაცინვა.

როგორც რომ ერთმა წმინდა ბერიკაცმა ბრძანა: „სსრკ ათეისტური ქვეყანა იყო, რუსეთის ფედერაცია კი სატანისტური გახდა...“

რუსული წმინდა ისტორიის მთელი ათასი წლის სიგრძეზე ასეთი საშინელი კატასტროფა არცროდის არ ყოფილა.

როგორც რომ ცის დასავალზე წამომართული ბირთვული სოკო, აწ ისე გამოიყურება რუსი ხალხისა და რუსული სახელმწიფოს სრული გაქრობის საკითხი. და ეს ჯოჯოხეთური რეალობაა.

ადრე რუსეთის წინააღმდეგ ცალკეული ქვეყნები იბრძოდნენ.

ამჟამად რუსეთს მთელი მსოფლიო ერქაგრეხილება.

რუსეთს წამლადაც არა ჰყავს ერთი ვინმე მოზავე-მოკავშირე.

თოფნაკრავ მძიმედ დაკოდილ დათვს არც სათანადო მოყვასნი ჰყვანან, ანუ მეგობარნი, მიწყივ გაუყარნი. მარტო მტერნი ეთვალეალმაცერებიან.

რუსეთი იმ ადამიანსა ჰგავს, ვენები რომ გადაჭრილი აქვს და სისხლი დასავლეთისკენ უჩქეფს.

ადამიანში სულ ხუთი ლიტრი სისხლია. ოთხი ლიტრი თუ უკვე ამოსწოვეს, რასაკვირველია, ის დაიღუპება სისხლისგან დაცლილი...

როგორ შეიძლება, რომ იცოცხლო და ისულდგმულო ერთი ლიტრი სისხლით?..

რუსეთი ფუჭსიტყვაობის ოკეანეში იხრჩობა.

რუსეთის ველ-მინდვრები გადასარეველებულია, რუსული თავი კი – გადაფუჭსიტყვავებული.

არადა ჭეშმარიტება სიტყვაძუნწია. სიცრუეა ენამრავალი.

მთა თუ რასმე ქადაგებს, მარტივი და უძიროა ის ქადაგება.

ნუ ვიგულმავიწყებთ, რომ „დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა...“

სიტყვა ძრავს კაცობრიობის ისტორიას.

კონფუცი უბნობდა, ფრიად მოგებულია ის განმგებელი, ვის სიტყვებსაც ბაზარში იმეორებენო...

დაუყოვნებლივ რის ქმნაა საჭირო რუსეთში, რათა თავიდან ავიცილოთ უკვე მხრჩოლავი სამოქალაქო ომის ხანძარი?

ავი ცეცხლი, ხალხისგან დოჩხაურად სახელდებული, უკვე რუსეთის კარს არის მომდგარი! ... ის უკვე მოდებულია სოფლის ორღობეებს და ახლა ცოდვით სავსე გარყვნილი ბაბილონის ქალაქებისკენ მიიწევს, რომელ ქალაქებსაც სატანის ტელევიზორთან ჩასძინებიათ...

2010 წლის ხანძრები თუ აგიზგიზებული უმწიკვლო ტყეებისა და ჟალტამ-შამბნარის ჯოჯოხეთური ბოლი (41 მილიონ ჰექტარ მიწას, ყოფილ ხოდაბუნებს, ერთიანად ბალახბულახმა გადაუარა!ძ უკვე გვაფრთხილებდნენ, რომ ტყეებისა და მინდვრების ხანძარი სამოქალაქო ომის ხანძრად სულ ადვილად გადაიქცეოდა...

უსამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ უკვე ღვთის ანაბარად მიტოვებული ტყეებიც აღდგნენ და კლერტაგადავლილი ხოდაბუნებიც, ჩვენ კი, ადამიანები, მონურად დაძაბუნებული და ლაჩრები, თევზებსავით ვდუმვართ, ხოლო „დუმილით იგმობა ღმერთი“, უნდა მოგეხსენებოდეთ.

უფალმა გაგვაფრთხილა...

ჩვენ კი ვერ მოვუხვდით.

აწ ცამეტი ცეცხლოვანი რაში მიგელავს კრემლისკენ...

რა ვქნათ, როგორ ავლაგმოთ ისინი?

რა უნდა მოვიღონისძიოთ დაუყოვნებლივ რუსეთში?

### პირველი ცეცხლოვანი რაში მიქრის...

**1. აუცილებელია პატრიარქისგან კურთხევის გამოთხოვნა რუსეთის სახსნელად, როგორც რომ დიმიტრი დონელი იკურთხა სერგი რადონეჟელის მიერ კულიკოვოს ბრძოლისთვის.**

ღმერთი თუ არა გწყალობს, ფეხს წინ ვერ წადგამ.

### მეორე ცეცხლოვანი რაში მიქრის...

**2. აუცილებელია დაუყოვნებლივ შეიქმნას ეროვნული აღორძინების მთავრობა.**

ახალ მთავრობაში არ უნდა იყვნენ იურისტები, ეკონომისტები და მმართველის თვალებში მაცქერალი დილეტანტი თანამემამულენი.

20 წელიწადი მართავდნენ ეს ადამიანები რუსეთს და ქვეყანა უსასრულოდ ღელვაგვემულ სახელმწიფოდ, ანუ „ტიტანიკად“ აქციეს.

უსასრულოდ ბედშავი და უაზროდ მორჩილი ჩვენი ხალხი უკვე 20 წელიწადია, რაც ხალხთა მსოფლიო ოკეანეში ცურავს არა ათასწლოვანი სახელმწიფო გემით, არამედ დასალუპად განწირული მორით (ცხადია, გარდა იმათი, ვინც იახტებით სეირნობს!ძ...

მერედა, რა ცხოვრება შეიძლება დასალუპად განწირულ მორზე? ერთი ეგ არის, რომ საცოდავად აცახცახებული საკუთარი სველი ტყავის გადასარჩენად ჯახირობ.

ახალი მთავრობა უნდა შედგეს წარმატებულ გუბერნატორთაგან, რესპუბლიკათა მეთაურთაგან, მსხვილი ქარხნებისა და კომპანიების დირექტორთაგან.

მთავრობა მრავალეროვნული უნდა იყოს.

იქ უნდა იყვნენ კავკასიის, თათარსტანის, ციმბირისა და ჩრდილოელ ხალხთა წარმომადგენელნი.

მთავრობა პროფესიონალთა გუნდია და არა მარტოხელა-თვითნასწავლის სოლო...

### მესამე ცეცხლოვანი რაში მიქრის...

**3. აუცილებელია დაუყოვნებლივ და გაბედულად შევუდგეთ დანაშაულებრივი პრივატიზაციის ნაციონალიზაციას.**

ერთი ძველი ანდაზა ამბობს: „ტახტზე თუ ვირიაო, ქვეყანაში ჭირიაო“.

კაცობრიობის ისტორიიდან ცნობილია, რომ ოლიგარქია მმართველობის ყოვლის უფრო კაციჭამიური, ყოვლის უფრო ჩამორჩენილი ფორმაა.

აგერ „ფორბსი“ გვატყობინებს, რომ ერთ-ერთი ოლიგარქის პირადი კაპიტალი 24 მილიარდია.

რუსეთის მთელი სოფლის მეურნეობისთვის კი გამოიყოფა 3 მილიარდი, ხოლო კულტურისთვის – 0,5 მილიარდი.

იხ. 6 გვ.

## რა ვქნათ?

(მეხუთე გვერდიდან)

მაშასადამე, ამ ჩვენი ვარდისფერი ვაჟბატონის ჯიბეში დედარუსეთის 8 სოფლის მეურნეობა ეტევა მთელი თავისი სახნავ-სათესით, სალეკი მდელოებით, ფრინველითა და პირუტყვით.

და, სათქმელადაც ძნელია, 48 დიდი რუსული კულტურა მთელი თავისი კონსერვატორიებით, არქიტექტურითა და ძეგლებით...

და თუკი რამ წმიდათაწმიდა შეგვრჩენია, აი ეს ჩვენი სულში ჩასაძვრენი „ბიზნესმენი" თავისი დიდი ქურდული ჯიბით ყოველსავე უსირცხვილოდ ეზიდება უკვე სამშობლოში გაცვლილ და უკვე სულის შემძვრელად მშობლიურად ქცეულ შვეიცარიაში ან ინგლისში, ანდა ამერიკაში...

მალე სრულიად ათასწლოვანი წმინდა რუსეთი მთელი თავისი მეფეებით, მონასტრებით, ტყეებითა და ქალაქებით მავანი ვირეშმაკა მილიონერის ჯიბეში აღმოჩნდება.

ვაშა და კიდევ ვაშა!.. დიდება მსოფლიო ბიზნესსა და ბაზარს...

იმის თქმა, რომ ბაზარი მთავარია, იგივეა, თუ ვიტყვით, რომ ადამიანში ყველაზე მნიშვნელოვანი საჭმლის მონელებაა...

არა სული, არა სამშვინველი, არა აზრი, არა მოსიყვარულე გული, არამედ ხშირი საჭმლის მონელებაო.

არადა ვიცი, რა სავალალო შედეგიც მოსდევს ესეგვარ სიხშირეს...

აი, რა გზაზე უნდათ ჩვენი შეყენება ბაზრის ამ თავგამოდებულ მეხრმლე-მეაბჯრეთ.

აი, რატომ მოედო ჩვენს ველ-მინდვრებს ჟალტამი და შამბნარი, სადაც ველარც ძროხას დაინახავ, ველარც თხასა და ცხვარს, სადაც მარტო გამხმარი კუტკალიები ყრია!..

ჩვენს გალატაკებულ მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში კი თაგვები დარბიან და იავარყოფა სუფევს... როგორც რომ ჩვენს თავებში და ჩვენთა ცარიელ ჯიბეთა შიგან...

აგერ მავანმა სახლი გაგიქურდა, შენი პალტო აცვია და ქუდიც შენი ახურავს!..

და თუ ეუბნები: „ძმაო, დამიბრუნე ჩემი პალტო და ქუდიო..." ის გეუბნება: „ეს უკვე ჩემი წმინდა, კერძო, ხელშეუხებელი საკუთრებააო!.."

მაშასადამე, ნაქურდალი საკუთრება წმინდა ყოფილა, ხოლო არანაქურდული, შენი, მამასისხლად შეძენილი – წმინდა არ არის?..

მოდით, ძმანო, მარტივ ბიბლიურ ჭეშმარიტებას მივუბრუნდეთ: „არ ინდომო შენი თვისტომის სახლი; არ ინდომო შენი თვისტომის ცოლი, არცა ყმა იმისი, არცა მხევალი იმისი, არცა ხარი იმისი, არცა სახედარი იმისი, არცა ქონება იმისი..."

ბელადები ჩვენი აღიარებენ, პრივატიზაცია დანაშაულებრივი და სისხლიანი იყოო.

მაშასადამე, რუსეთის ფედერაცია დანაშაულსა და სისხლზე მდგარა.

იპატიევის სარდაფიდან ამოჩქეფილი სამეფო სისხლის ნაკადი სამოქალაქო ომის სისხლის მდინარედ იქცა, მერე – 37 წლის სისხლად... მერმე – 91-93 წლების სამოქალაქო ომების შედეგად დაღვრილ სისხლად ტაჯიკეთში (სადაც 150 ათასი კაცი მოკლესძ, ჩეჩნეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში და 93 წელს დახვრეტილი პარლამენტის შემაძრწუნებელ სისხლად.

და კვალად სისხლსა და ქურდობაზე განვაგრძობთ შენებას და არ გვინდა, რომ წირვა გამოვუყვანოთ ქურდბაცაცებს.

მაშასადამე, ისევ სისხლის მდინარეებისთვის ვართ განწირულნი.

ეჰ, ძმანო...

როდემდე უნდა ვიხეტიალოთ სისხლის მდინარეთა ნაპირებზე?..

ნუთუ კიდევ არ დადგა ის დრო, რომ კრემლში ვუხმოთ ჩვენს სულში ჩასაძვრენ ოლიგარქთ და რბილად, ტკბილად შევთავაზოთ ნაარმევი ფულის ხაზინაში დაბრუნება?

იქნებ გაუხარდეთ კიდევაც! რამეთუ ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლდებიან ხაზინის ქურდობისა და ხალხთა ხოცვის საშინელი ცოდვისგან!..

საოცარი ამბავია: საბჭოთა დროში ადამიანი 150 მანეთ ხელფასს იღებდა, აგერ ახლა კი, ერთ-ერთი უდიდესი ქვეყნის სიკვდილის შემდგომ, მან ხაზინა გაძარცვა და უეცრად ხელთ მილიარდი აღმოაჩნდა!.. (მე შენ გეტყვი სდევნის ვინმე, პირიქით, უბატონოდ არცვინ არ ელაპარაკება...ძ.

ისიც გიჟად არის... უნახავმა რა ნახაო, ხომ გაგიგონიათ... პირდაპირ შეგეცოდება, მიშველება მოგინდება.

ო, ღმერთო, დიდებულო!

ეს რამხელა ქვეყანა დავანგრიეთ. ავად იყო თუ კარგად, ადამიანები კაცობრიობის მთელი ისტორიის სიგრძეზე ყოვლის უფრო სამართლიან საზოგადოებას აშენებდნენ, სადაც არ იყო უმუშევრობა, სიღატაკე, მიუსაფრობა, ყოფიერების უაზრობა, ნგრევა, საყოველთაო ლოთ-მეზრუვეობა, არც ნარკომანია ყოფილა ასე მოდებული, არც პედოფილია, აგრე ვერ თარეშობდა კაციჭამია ფასიანი მედიცინა, განათლება, ასე თუ ისე, ადამიანს თავზე ჭერი ეფარა, ყოჩაღ, ცოდნისმოყვარე სოფლელ ბიჭუნას ვინმესგან ხელშეუშლელად შეეძლო აკადემიკოსად გახდომა... ქვეყანა კი, როგორც უკვე ირკვევა, იმად დაანგრიეს, რათა თალლით-მექრთამეთ თითზე გადასახვევიც არცრა დაეტოვებინათ უმწეო კანონმორჩილი ხალხისთვის და დასავლეთში გაქცეულიყვნენ ძვირად ღირებული იახტების, ვილების, სრასახლების, კლუბებისა და სხვა ათასი უძრავი თუ მოძრავი ქონების შესაძენად.

აი იმჟამინდელი გარდაქმნისა და რეფორმების მთელი აზრი!.. მართლაც ვაი, ვაი და ვაი!...

დემოკრატიულმა ჰუმანურმა დასავლეთმა კი, როგორც იტყვიან, თავით კალთაზე მზრუნველობით მიირქვა მდიდარი ქურდები და ერთი გასაკიცხი სიტყვაც კი არცვისთვის არ უკადრებია...

ჩვენ კი, ერთიანად დაბრმავებულნი, მუხლმოდრეკილნი ვდგავართ და იმედის თვალით მივჩერებივართ დასავლეთს – ხაზინის ქურდბაცაცათა თავშესაფარს...

აბა, სადმე წამლად მაინც თუ გაისმის რუსეთის ესეგვარი შავბედობისა გამო ერთი მისაჭირდიდებელი თანაგრძნობის ხმა?! რუსეთის ჭირი დასავლეთისთვის მართლაც რომ ღობეში გაჩრილი ჩხირია!..

სად არის დასავლეთის პროგრესული ინტელიგენცია?..

იქნებ კომფორტისა და პოლიტკორექტულობის ტკბილ ჭაობშია ჩაძირული?..

არადა, რუსეთი ევროპის ნაწილიაო, შეგვაგონებენ...

თუ შეიძლება, ვიკითხავთ: რომელი ნაწილია, ბატონებო და ვაჟბატონებო?..

აი სადა გვაქვს ნამდვილი ზრდა, ჯოჯოხეთური აღმავლობა-პროგრესი!..

ასეთი ხელფასებით შეუძლებელია ცხოვრება, სუნთქვა...

მაშასადამე, ეს ხელისუფლება კლავს თვით სიცოცხლეს, თვით სუნთქვას რუსეთის მიწაწყალზე და ერთსაც და მეორესაც, ანუ სიცოცხლესაც და სუნთქვასაც, ანაცვლებს სულ ერთიანად მკვდარი შამბნარითა და ჭინჭრით...

### მეხუთე ცეცხლოვანი რაში მიქრის...

**5. აუცილებელია ბანკების სანაციის (გაჯანსაღების), რუზველტის რეფორმის გატარება.**

მსოფლიო ბანკთა ტირანიის ჩვენს დროში ბანკირთ აღმოაჩინეს ფულის შეუღლების დიდი კანონი!

თურმე ფული, როგორც ადამიანი და ნადირი, ბანკში სხვა ფულთან შეუღლებული, ახალ ფულს აჩენს!.. ფული ფულთან მიდისო, ამაზეა ნათქვამი...

ხლიანებული რუსეთელის სისხლის გატანა.

აუცილებელია ამ ყოველივეს დაბრუნება, რაც დანაშაულებრივად, ფარულად, იეზუიტური ფსევდოიურიდიული საბუთების საფუძველზე გატანილია ქვეყნიდან.

ამერიკა და ევროპა, როგორც რომ ორი სისხლისმწოველი ბუზანკალი, ისე არიან მიკრული რუსეთის სხეულს და თითქმის უნაცვალგებოდ იწოვენ ნავთობს, გაზს, ოქროს, სპეკალს, ანუ ყოველ თვალს პატიოსანს, ხე-ტყეს, ხატკეთილ ნაყოფიერ ცოლ-უღელტოლთ, ნიჭიერ მეცნიერთ, ხმატკბილ მომღერალთ...

ჩვენს წილად ლატაკი უდაბნოლა რჩება...

თორმეტი წლის გუს-ხრუსტალელი გოგონა ფენია, რომელიც სიღარიბემ და მშობლების ლოთობამ დაქანცა, თავის პატარა ველოსიპედს მოაჯდა და მოსკოვს მიაშურა...

ძია პრეზიდენტთან... დახმარების სათხოვნელად...

ფენიას დაბაში ყველანი არაყში იხრჩობენ

# ცამეტი ცეცხლოვანი რაში...

## რა უნდა ვქნათ რუსეთში დაუყოვნებლივ და აუცილებლად



### მეოთხე ცეცხლოვანი რაში მიქრის...

**4. აუცილებელია, რომ ნავთობის, გაზის, ხე-ტყის, არყის, მრეწველობის ნაციონალიზაციის გზით შემოსული ფული, აგრეთვე მითური სტაბილური ფონდის ფული, რომელ ფონდსაც დანაშაულებრივად, საიდუმლოდ რიცხავენ სხვათა ბანკებში, და ოქროს ვალუტის მარაგი მოხმარდეს ბინების, გზების, ქარხნების მშენებლობას, აგრეთვე სოფლის მეურნეობას, მედიცინას, განათლებასა და კულტურას.**

საჭიროა, რომ ფულის მდინარე მივუგდოთ ველ-მინდვრებსა და ქალაქებს რუსეთისას, სადაც ამჟამად თითქმის დამშრალი ფულის ნაკადული მიწანწკარებს, რის გამოც დამშეული ადამიანები ერთმანეთის ხოცვაზე არიან გადასული...

უნდა წელებზე ფეხი დავიდგათ და დავიბრუნოთ ის სისხლი, რომელიც აგრერიგად უნამუსოდ აუღეს და წარსტაცეს გაიძულებულ გულმინდობილ რუსეთელ დონორს.

ხელფასები, პენსიები, სტიპენდიები დაუყოვნებლივ 2-3-ჯერ უნდა გაიზარდოს.

ამჟამინდელი ხელფასები და პენსიები სიკვდილის ხელფასებია, იმ სასაფლაოთა ხელფასებია, რომელ სასაფლაოთა ზრდასაც ზღვარი არ გააჩნია რუსეთში.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის გვერდის ავლით ფული ფულს იგებს!.. თუგინდ ბადებს თქვით, სულერთია.

და ეს, ნაბიჭვარი, უხსნიერი, ანუ უკანონოდ შობილი ბანკნოტები აკვდინებენ თვით ცხოვრებას!..

ბანკები, რომლებიც კი არ აფინანსებენ რეალურ წარმოებას, არამედ, როგორც კიბოს უჯრედები, კლავენ სახელმწიფოს, უნდა დაიხუროს.

ამჟამინდელი რუსეთი შემზარავი უფულობა-უსისხლობით ილუპება.

საშინელი ანემია სუფევს ჩვენს ქალაქებში, სოფლებში, ღატაკ სულთა და ჯიბეთა შიგან.

ადამიანებს არცრის საყიდელი ფული არ გააჩნიათ!

მაღაზიები, როგორც მუზეუმები, ყველაფრით სავსეა, მაგრამ რისამე ყიდვის თავი არავის არა აქვს...

უკვე ოცი წელიწადია, რაც ჩვენი ხალხი შიმშილის ნერწყვსა ყლაპავს!..

### მეექვსე ცეცხლოვანი რაში მიქრის...

**6. აუცილებელია ქვეყნიდან კაპიტალის გატანის დაუყოვნებლივ აკრძალვა.**

ადამიანიდან სისხლის გატანის აკრძალვა.

შეწყდეს დასაკლავად განწირული გასის-

თავს... სამუშაო არ არის... ყოველდღე ვიღაც კვდება...

რაც ახლომახლო ნაძვნარი იყო, სულ ტოტებად დაამტვრიეს – როცა ვისმე მარხავენ, იმ ტოტებს სასაფლაოსკენ მიმავალ ასაბიას ფეხქვეშ უყრიან...

ცხოვრება მხოლოდ ფავნის-საგოდებელზე დუღს... სასაფლაოზე...

გზადაგზა პატარა გოგომ იმდენ გაპარტახებულ სოფელსა თუ დაბას და იმდენ ლოთმეზრუვეს მოატანა თვალი, რომ მოსკოვამდე ცრემლი არ შეშრობია, ისე მიაგორებდა თავის დანჯღრეულ ველოსიპედს...

დედაქალაქში რომ ჩავიდა, ყაზანის სადგურში უპატრონო ბიჭბუჭობამ მალე გახრწნა და მოკლა კიდეც, ბარტყივით ოდნავ შებუმბლული იმისი სხეული კი, ალბათ, უკვე შეშინებულებმა, პატარა მკვლელებმა იქვე ახლოს, სანარცხე ორმოში გადამალეს...

რომელი მწერალი, რომელი დოსტოევსკი აღწერს, რაც ამ პატარა გოგოს თავს გადახდა?..

და როს ტელევიზიით ვუმზერ საზღვარგარეთის ფეხბურთის დაკუნთულ გლადიატორთ და ჩვენთა ოლიგარქთა თვალისმომჭრელ იახტებს, – უმალ ეს გაჩხინკული პატარა გოგო წამომაგონდება ხოლმე თავის ძველ, დანჯღრეულ ველოსიპედთან ერთად...

განა ჩვენთა მაძღარღიმილიან ბიზნესმენთაგან არ მოესწრაფა სიცოცხლე ამ უმწეო არსებას?..

განა ამ უმწეო არსების ფულით არ დარბიან თეთრკბილებმოელვარე ზანგი ათლეტები და განა იგივე ფული არ მიაქანებს ერთმანეთზე ლამაზ-ლამაზ იახტათა იალქნებს?!.

ეჰ, ჩემო პატარა გოგოცუნავ!

დიახაც ოლიგარქთ გაგითელეს ეგ შენი უდანაშაულო ბავშვური ცხოვრება და სული ამოგხადეს კიდეც... ის კი არა, შენი სისხლიც იმათ მოიპარეს და საზღვარგარეთ გაიტანეს...

რუსეთის ფედერაციამ დასავლეთში 200 000 ბავშვი გაყიდა, იმიტომ რომ არცვინ იმათი მყვარებელი არ იყო და არცვინ იმათი დამპურებელი!

იმიტომ რომ იმათი ფული დიდფულიანებმა მოიპარეს და ქვეყნიდან გააპარეს!

ო, ღმერთო დიდებულო!

## რა ვქნათ?

200 000 ბავშვის მშიერი პირი უბერავს გასაშლელად ზღვაში სადღესასწაულოდ მონავარდე იახტათა აფრებს!..

იახტები ლაჟვარდოვან ტალღებს ეთამაშებიან... და გზა ჯოჯოხეთისკენ უდევთ...

იმათი ბინადარნი კი ჰგონებენ, უკვე სამოთხეში ვართო...

როდის ყოფილა ასეთი რამ რუსეთის ათასწლოვან ისტორიაში?..

უკეთუ ქვეყანა ბავშვებს ყიდის, ის ქვეყანა დედამიწიდან პირდაპირ ჯოჯოხეთში მიდის...

უკეთუ ბაღი აღარ მსხმოიარობს, ბოლოს და ბოლოს გაჩეხა ელის...

მაგრამ სად არიან ჩვენი რუსი მეომარნი? ქომაგ-მოსარჩლენი? თავის გამწირველნი კაცნი? მზრუნველნი მამანი?...

სად არიან დ, არაყსა სვამენ, ზედ ლუდს აყოლებენ... ანდა სულაც იქნებ თავიანთი შვილების სისხლი ჰგონიათ ლუდი...

### მეშვიდე ცეცხლოვანი რაში მიქრის...

**7. აუცილებელია დაუყოვნებლივ ბრძოლის დაწყება აუტანელ ლოთობასთან, გამხრწნელ, დამარეტიანებელ ალკოჰოლიზმთან...**

არყის მდინარეებმა ჩვენს ქვეყანაში ბევრად გადააჭარბეს ბუნებრივ მდინარეებს.

**თუ მომინდა არაყი,**
**ვერ დამიჭერს ალაყი,**
**მერე ნახეთ, ფხიზელნო,**
**ჩემი ალაყმალაყიო...** – მღერიან ლოთები.

ლოთობაში უკვე ქალებიც არიან ჩათრეული და ბავშვებიც – უკვე ისინიც ღურჭუმელაობენ ამ მომაკვდინებელ მყრალ მდინარეში...

რუს ნაყოფიერ ცოლს მარჩენალ მკერდთან უკვე სანუკვარი ძუძუთა ყრმა კი არ უჭირავს, შინ გამოხდილი მღვრიე არყით სავსე ბოთლს ჩახუტებია და წმინდა ძუძუებს შიგა ყოფს...

წმინდა ბერიკაცნი ბრძანებენ: არაყი სატანის წყალიაო... არაყთან ურთიერთობა იგივ სატანასთან ურთიერთობააო...

მხოლოდ რწმენას, მხოლოდ ეკლესიას ძალუძს სატანის ბოთლისგან რუსი კაცის ჩამოშორებაო...

ჭეშმარიტად!...

### მერვე ცეცხლოვანი რაში მიქრის...

**8. აუცილებელია გლეხკაცის დაუყოვნებლივ მიწასთან დაბრუნება.**

მაინც სადა ღვრის ამჟამად ის თავის ოფლს?.. ვის, რომელ ყანაში?..

სხვაგვარად შიმშილი ჩამოვარდება და აკი უკვე ჩამოვარდნილიც არის ჩვენს მიწა-წყალზე... თავს იპარავს, მიმალულია შამბნარში... და ჭინჭრიანში...

უნდა გამოვაცოცხლოთ ჯერეთ კიდევ მბჟუტავი სოფლები თუ მოსოფლო კომლობა.

ქვეყანაში მილიონობით ასაკს გადასული კუნთმაგარი კაცია, ზოგი სად არის დარაჯად და ზოგი სად.

აი სად ღვრიან ისინი თავიანთ ოფლს...

აი, ვის და რომელ ყანაში ხარჯავენ თავიანთ სიცოცხლის დღეებს...

სულ ალერს-ალერსით და ერთგულად იცავენ ისინი ბიზნესმენთ, ბანკირთ, ბანდიტ-ავაზაკთ, თავიანთ მახრჩობელებს იცავენ...

ეს ძველთაძველი ხელობაა – საკუთარ სისხლისმსმელთა და მკვლელთა დაცვა...

და ერთი რა არის, ერთი განრისხებული ვინმეც არ აღმართავს ხელს თავის სულთამხუთავზე!..

მაგრამ სულ სხვა რამ არის იმ სიყვარულის დიადი წარუხოცელი ინსტინქტი, რომელ სიყვარულსაც ადამიანი განიცდის მიწის, ნაყოფისა და ხეხილის, ბაღის, ცვარ-ნამის, ბაღში თუ ვენახში ჩადგმული ძოხისა თუ პირუტყვის მიმართ...

ეს ისეთივე წმინდა სიყვარულია, როგორიც ცოლქმრობაშია... როგორიც დედაშვილობაშია...

რაც შეიძლება მალეა საჭირო ამ წმინდა სიყვარულის გამოღვიძება.

მაშინ შამბნარ-ჟალტამი ეგრევე კუდს ამოიძუებს ჩვენი მინდვრებიდან, წასაქცევად წაფერდილი ძოხი კი დავიწყების ყრუ ბალახთან ჩურჩულს შეეშვება.

უნდა ავდგეთ და იმ ცოლ-ქმართ, ცხოვრების აზრდაკარგულნი არაყს რომ მისძალებიან და სხვა ალარაფერი ახსოვთ, დავურიგოთ მიტოვებული მიწები, იაფი ბელორუსული ტექნიკა, ორმოცდაათწლიანი სესხი, და ნახავ, ჩემო კეთილო ძმაო, რარიგ ამზეკაბანდებიან და რარიგ დაგიტკბობენ სმენას თავიანთი წამალსაებრ სამკურნალო შრიალით ჭვავის, ხორბლის, სელის, შვრიის ყანები იქ, სადაც დღეს ბურბური გააქვს ხეშეშ ბოჭკოვან შამბნარს... (ხან მშიერს თვალი შემჩერებია ამ ხმელ შამბნარზე, რომელიც ვაი რომ ისე არ იჭმევა, როგორაც მარიამსხალას ვჭამდით ხოლმე ომის დროს...ძ

სანამ შიგ ჩავწვებოდეთ, მანამდე უნდა გვესმას მივიწყებული მარჩენალი მიწის ძახილი...

ზედ უნდა ხელი გავანძრიოთ... მოვეალერსოთ... მოვეფეროთ... როგორც რომ საყვარელ მიმხცოვნებულ დედას...

ამას წინათ ტულის გუბერნიაში 100 კილომეტრი გავიარე ძმასთან მიმავალმა და ერთადერთს, ვისაც გზად გადავაწყდი, მავანი დედაბერი იყო, ავშიანში თხას აძოვებდა...

გლეხი დედაკაცისა და თხის დანახვამ ისერიგად გამახარა, რომ უმალ მანქანიდან გადმოვხტი და დედაბერს დამჭკნარ მომლაშო ლოყაზე ვაკოცე, თხას კი სუნიან სველ დრუნჩზე...

... ეჰ, ბები, რამდენი ხანია, რაც მინდორში ადამიანი პირუტყვთან ერთად არ მინახავს-



მეთქი... რა ამბავია, ხალხი გაწყდა თუ რა არის?,– ვუთხარი...

– აი ეს ერთი მარჩენალიღა დამრჩაო... განა თხა პირუტყვად ჩასათვლელი კიაო?.. თხა გაჭირვებისააო, სიღატაკის კიკინიაო...

თხას, შვილო, უკვე სამარე მოსდევსო...

რა ვქნა, გასაყიდად მიმყავს, რა არი ჩუბაისს შუქის ფული გადავუხადოო. გადამიჭრეს... უშუქოდ დავრჩი.. ახალ მრიცხველს ექვსი ათასი უნდაო...

სოფელში ფული კი არა, ხალხიც აღარ არის, სულ ამოწყდაო... იმ რაღაც გარდაქმნის ხანაში სუყველა გაღმა სოფელში გავიდა, სასაფლაოს, ჩვენებურად ფავნისს, მიაშურაო... მეტი რა უნდათ, ქრისტე ღმერთთან არიან... მე და ჩემი თხაღა დავრჩით... ჩემი ლუშენკა... ახლა ამასაც ვყიდიო...

იღბლად, ჯიბეში ექვსი ათასი მქონდა, ეგრევე ამოვიღე და სულ დედაბერს მივეცი...

და ჩემს გზას გავუდექი.

ო, ჩემო მილიონობით დარაჯო ძმებო!..

სადა ხართ, ჩემო კუნთმაგარნო?

წადით, თქვენს მშობლიურ ველ-მინდვრებს მიაშურეთ, იქ თქვენი ღვიძლი ბებია გელოდებათ თავის ბეკეკასთან ერთად.

თქვენი რუსული მიწა-წყალი გელოდებათ...

იმ თხას ლუშკა უქვია, თვითონ დედაბრისთვის არც სახელი მიკითხავს, არც მამის სახელი...

ისე, მართალი თუ გინდათ, თავად წმინდა დედარუსეთია იმისი სახელი!..

### მეცხრე ცეცხლოვანი რაში მიქრის...

**9. აუცილებელია სიკვდილით დასჯის დაუყოვნებლივ აღდგენა.**

პედოფილიისთვის, მკვლელობისთვის, ნარკოვაჭრობისთვის, ტერორიზმისთვის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისთვის, სახელმწიფოებრივი დანაშაულთათვის უცილობლად სიკვდილით უნდა დაისაჯოს ყველა. ეს ბევრ დამნაშავეს ცოტა ჭკუაზე მოიყვანს.

აი გემის კაპიტანი დგას და საკუთარი გემის ჩაძირვას ცდილობს – ჩვენ კი, მგზავრნი, ქვეშევრდომულად საამებელ ტაშს ვუკრავთ...

არადა, განა არ აჯობებდა, რომ თვითონ ეს დამნაშავე კაპიტანი მოგვექცია წყალქვეშ და არა რუსული სახელმწიფოს ათასწლოვანი გემი?..

### მეათე ცეცხლოვანი რაში მიქრის...

**10. აუცილებელია ტელევიზიებში კადრების დაუყოვნებლივ შეცვლა.**

უნდა აიკრძალოს ყველა ის ფილმი, რომლებიც აგებულია ხრწნის, სისხლის, ძალადობის, სექსისა და რუსული ისტორიის მიმართ ცილისწამების სულისკვეთებით.

სერვანტესი ბრძანებდა, ისტორიის წარმყვნელნი ისევე უნდა ისჯებოდნენ, როგორაც რომ ყალბი ფულის მომჭრელნიო.

უნდა აღდგეს ფუნდამენტური გადაცემები წმინდა რუსულ ისტორიაზე, წმინდა მამათა საქმეებზე, კულტურაზე.

ყველა არხიდან კუდი უნდა ამოაძუებინონ ამერიკულ დაკრულზე მროკავ სახეჯულურა, წვერმოშვებულ, ზნეობრივად მახინჯ ყმაწვილკაცთ და ნახევრად გახდილ ყმაწვილქალთ, უხმო მომღერალთ, გაცრუებულ პოლიტოლოგთ და ჟურნალისტ-კალმოსანთ, აშკარა კახპებს, მთელ ქვეყანას ყალბი ცრემლითა და განგებ დამტკბარი სიტყვით რომ ეალსარებიან...

ერთი ძველი ჩინელი იმპერატორი უბნობდა: „რაც უფრო ხმამაღლა გაისმის ქვეყანაში სხვათა მუსიკა, მით უფრო დაღუპვის პირასაა ეს ქვეყანა და ამ ქვეყნის ხალხიო...“

ნუთუ რუსეთში სხვა ხალხი აღარ არის, გარდა ამათი, უცხოურად რომ როკავენ და სხვათა იდიოტურ სიმღერებს რომ გვასმენინებენ!..

ნეტავი სად არიან ჩვენი მარჩენალნი გლეხკაცნი?

სად არიან მოსარჩლე-მეომარნი? სად



არიან ექიმები? მასწავლებლები? მუშები? ბრძენი ბერიკაცნი? მღვდლები? რაბინები? მოლები?..

ნუთუ ჩვენს დადუმებულ წმინდა ხალხს მარტო ეს საქონელსაებრ აზმუვლებული, საკუთარი დედის მაგინებელი ბიჭბუჭობა და ფონს ბილწსიტყვაობით გასვლის მსურველი ავყია, მოდებილო ვითომ იუმორისტები შეადგენენ?..

ეჰ, ვაჟბატონო ტელემეუფროსენო!

უკვე დროა, დრო, რომ თქვენს ტკბილ კაბინეტებს შეელიოთ, ეგ კაბინეტები კი არა, „სისაძაგლის ადგილებია“..

დიახ! დიახ!, დიახ!

შორს ჩვენი ტელევიზიიდან, ძმანო-გამხრწნელნო-სადისტნო-მაზოხისტნო-ფროიდისტნო-ეგრეთ წოდებულნო უმცირესობანო...

### მეთერთმეტე ცეცხლოვანი რაში მიქრის...

**11. რუსეთს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების მხრივ სავალალო პირველი ადგილი უჭირავს.**

ოღროჩოღრო გზებს რომ მიჰყვები, ყოველთვის თვალში გვხვდება დალეწილი მანქანები და დაღუპულნი, გზის პირას ზეწრებგადაფარებულნი.

ესენი ხომ ჩვენი ძმანი და დანი არიან, ძმაო ჩემო...

აუცილებელია, თანაც დაუყოვნებლივ, სიჩქარეზე ერთწლიანი მორატორიუმის გამოცხადება.

სიჩქარემ არ უნდა გადაამეტოს საათში 80 კილომეტრს.

ვინ იცის, რამდენ ადამიანს შევუნარჩუნებთ სიცოცხლეს!

საჭეს მთვრალი თუ უზის, ეგრევე უნდა ჩამოერთვას მანქანა კონფისკაციის წესით.

გაუშვი, წაიღონ ეგ შენი ოთხთვლიანი რკინა, სამაგიეროდ, ძმაო, სადმე სველი გზის პირას ზეწარს აღარ გადაგაფარებენ... და არც შვილები დაგიობლდებიან, ოჯახი უბედურებას გადაგირჩება...

### მეთორმეტე ცეცხლოვანი რაში მიქრის...

**12. დასასრულ, ამჟამინდელ ხელისუფალთ უნდა მივმართო.**

არც ერთი ეს იდეა მე არ მომიგონია. ეს ჩემი სიტყვები არ არის. მე მხოლოდ ვისმენდი და ვიწერდი.

ეს აზრები ჩვენი სულგრძელი ხალხის სულში ცოცხლობენ.

146 მილიონი ადამიანის სულში...

უკეთუ ეს აღმაშფოთებელი პრობლემები დაუყოვნებლივ არ გადაიჭრება, სამოქალაქო ომის ცეცხლი, როგორადაც ბირთვული სისხლიანი სოკო, ისე წამოიმართება ჩვენი მშობლიური, უდანაშაულო, გადარჩენის მოლოდინში გარინდებული რუსეთის მიწა-წყალზე...

მაშინ კი, ძმანო ჩემნო, ვეღარც თქვენი იახტებით გაიქცევით სადმე და ვეღარც თქვენს ვილებს შეაფარებთ თავს...

ღმერთს შეევედრეთ და წმინდა საქმეთ მიჰყეთ ხელი!

მაშინ ღმერთიც თქვენს მხარეს დადგება...

და ხალხიც!

### მეცამეტე ცეცხლოვანი რაში მიქრის...

**13. ჭეშმარიტად, რუსი ხალხის ბედი ღვთის ხელშია და არა ადამიანის ხელში.**

ეს კარგად მოეხსენებათ წმინდა ბერიკაცთ, რომელთაც მუხლს უყრის ჩვენი ხალხი...

გავიხსენოთ ამასწინანდელი ხალხის მსვლელობა ღვთისმშობლის ზოსტერის მოსახილველად.

მაგრამ რუსეთის მიწიერი ისტორია ოდენ მეფეთა და მბრძანებელთა ჟამთააღწერაა.

უკეთუ მბრძანებელი უმოქმედობს, რუსული ისტორიაც დუმს, ხალხი კი იღუპება სიღატაკეში, სიმუნჯესა და ლოთობაში.

და წმინდა რუსეთის მართლმადიდებლური საჟამნე, ანუ ჟამის მაჩვენებელი საათი, ვლადიმირ ნათლისმცემლის ხელით ამუშავებული, აწ კი კაპიტალიზმის ქაჯთაგან ხელყოფილი, ყურთასმენის წამლები ხმით გაჩერდა...

გესმის, ძმაო, შენი ისტორიის საჟამნე, იგივ საათი, გაჩერებულია!..

აწ სიკვდილი ნავარდობს, სიკვდილს დარჩა ჩვენი მიწა-წყალი, ისიც ამრავლებს და ამრავლებს ფავნის-სასაფლაოებს...

დღეს ის ხნავს და ის თესავს...

ჭეშმარიტად!..

ოღონდ!.. ძმაო!..

კაპიტალიზმის ქაჯთ ფეხი უნდა ამოვაკვეთინოთ, კუდით ქვა უნდა ვასროლინოთ, გავაძევოთ, როგორც რომ მაცხოვარმა გააძევა ვაჭარნი ტაძრიდან.

და მაშინ კვლავ დაიძვრის, კვლავ გაცოცხლდება წმინდა რუსეთის საჟამნე, ანუ დრო-ჟამის მაჩვენებელი საათი!

მარადიული სიცოცხლის საათი!..

**P. S.** ძვირფასო ძმანო-მმართველნო!

მე ჩერნობილში ვარ ნამუშევარი.

ვისაც ჩერნობილის უხილავი სხივოსანი სიკვდილით მჩქეფარე რეაქტორი უნახავს, იმას სამუდამოდ დაკარგული აქვს მიამიტობა.

აწინდელი რუსეთი ჩერნობილია!

რუსეთს დაუყოვნებლივ შველა უნდა. თუნდაც ჩვენი სიცოცხლის ფასად.

უკეთუ გეშინიათ, ეგ ადგილი იმათ დაუთმეთ, ვისაც მამულისთვის თავის განწირვა არ აშინებს...

ძმაო, მოყვასო ჩემო! ცამეტი ცეცხლოვანი რაში დაგელავს შენთან ახლომარედ...

ეგ იმათი მოუთმენელი ჭიხვინი მოგესმის...

ძილში არ გამოგეპაროს...

## რას წერენ ჩვენზე

# სააკაშვილს საქართველოში რუსეთელების უვიზოდ შემოშვება სურს



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამშაბათს გამოვიდა ინიციატივით, ცალმხრივად გააუქმოს სავიზო რეჟიმი რუსეთთან. საქართველოს პარლამენტში გამოთქმულ პრეზიდენტის ამ ინიციატივას ტაშით შეხვდნენ.

სააკაშვილმა, როდესაც თავის ყოველწლიურ მოხსენებას აკეთებდა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში, განაცხადა, რომ საქართველო მიესალმება ეკონომიკურ ურთიერთობებს რუსეთთან და საქართველო ღიაა რუსი ბიზნესმენებისთვის.

„ჩვენ არასოდეს დაგვიკეტია საქართველო რუსი ინვესტორებისა და ტურისტებისთვის – ჩვენ ველოდებით წელს რამდენიმე ასეულ ათას მათგანს. იქ, სადაც აქტიურია ბიზნესი, არ არის ადგილი ტანკებისთვის“, – განაცხადა სააკაშვილმა.

რუსმა მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ ჩამოვიდნენ საქართველოში, რუს ტურისტებს კი აქ ხელს არავინ შეუშლის „დალიონ ქართული ღვინო და ბორჯომი, რომლებიც მათ უკვე ენატრებათ“, – დაუმატა მან.

რუსეთმა შემოიღო ქართული ღვინისა და მინერალური წყლების იმპორტის აკრძალვა 2006 წელს.

2008 წლის აგვისტოს შემდეგ დიპლომატიური ურთიერთობანი საქართველოსა და რუსეთს შორის შეწყდა. მიუხედავად ამისა, საქართველოში მოხვედრა რუსი მოქალაქეებისთვის არ არის რთული. მათ შეუძლიათ მიიღონ ქართული ვიზა ქვეყანაში შემოსვლის დროს.

### „ერთიანი კავკასია“

**2010 წლის ოქტომბრიდან საქართველომ რუსეთის ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკის მცხოვრებლებისთვის შემოიღო 90-დღიანი უვიზო რეჟიმი. ამ შეღავათებმა მოსკოვში გაუგებრობა გამოიწვია.**

რუსეთმა საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას პროვოკაცია უწოდა, ბრალი დასდო თბილისს, მოახდინოს სიტუაციის დესტაბილიზაცია ჩრდილოეთ კავკასიაში.

„თავისთავად მცდელობა გაყოს რუსეთის მოსახლეობა სხვადასხვა კატეგორიებად, ეწინააღმდეგება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების ცივილიზებულ ნორმებს“, – განაცხადა მაშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

როდესაც პარლამენტში გამოდიოდა, სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო გააგრძელებს მუშაობას ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებთან. მისი სიტყვებით, საქართველოს უშიშროება ხანგრძლივი პერსპექტივით ემყარება რეგიონის უსაფრთხოებას.

„ჩვენ გავაგრძელებთ აქტიურ მუშაობას საერთო კავკასიური განვითარებისთვის და ყოველთვის აქტიური ვიქნებით კავკასიელ ხალხთა მეგობრობაში, – განაცხადა სააკაშვილმა. – საქართველო მტკიცედ უჭერს მხარს სახელმწიფო საზღვრების ურღვეობის პრინციპს, მაგრამ კავკასიას ჩვენ განვიხილავთ, როგორც ერთ რეგიონს, სადაც უნდა იყოს მშვიდობის, განვითარებისა და თავისუფლების ატმოსფერო“.

მისი სიტყვებით, საქართველო წარმოადგენს კავკასიაში თანამედროვე სახელმწიფოებრიობის ნიმუშს და არის არა მხოლოდ „კავკასიის ლოკომოტივი მომავლისთვის“, არამედ „სარკმელიც ევროპაში“.

„საქართველოს ექნება თავისუფალი ვაჭრობა ამერიკასთან, ევროკავშირთან, შემოვიღებთ უვიზო რეჟიმს ევროპასთან, გავიყვანთ იქ რკინიგზას, – გვაცნობა სააკაშვილმა. – ჩვენ ამას შევქმნით მთელი კავკასიისთვის და თითოეული კავკასიელისთვის, ჩვენი ქვეყანა გახდება თანამედროვე განვითარების მაგალითი“.

სააკაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო დაინტერესებულია რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებით და ისწრაფვის მასთან მშვიდობისკენ.

მაგრამ, მისი სიტყვებით, ასეთი მშვიდობა შესაძლებელია რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დაცვის შემთხვევაში, იმ ნორმებისა, რომლებიც აწესრიგებენ ურთიერთობას სუვერენულ სახელმწიფოებს შორის.

### „სახიფათო პოლიტიკა“

**მმართველი პარტიის დეპუტატები მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტის ინიციატივა მოუტანს ქვეყანას არა მხოლოდ ეკონომიკურ სარგებელს, არამედ საშუალებას მისცემს რუსეთელთა დიდ რიცხვს პირადად გაეცნონ საქართველოს რეფორმებს და გაიგონ, თუ რით განსხვავდება საქართველო რუსეთისგან.**

საერთაშორისო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელის აკაკი მინაშვილის სიტყვებით, რეგიონში ბევრს, მათ შორის რუსეთის მოქალაქეებსაც, სურთ საქართველოში ჩამოსვლა.

„მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ლიდერები აგრესიულები არიან, რუსეთელებს აქვთ იმის შეგრძნება, რომ საქართველო სრულიად სხვა ქვეყანაა“, – უთხრა მინაშვილმა ჟურნალისტებს.

განცხადებები იმის შესახებ, რომ საქართველო ღიაა რუსეთის კომპანიებისთვის, ხშირად იძლევა საბაბს ხელისუფლების კრიტიკისთვის ზოგიერთი ოპოზიციონერის მხრიდან.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატი გურამ ჩახვაძე ბრალს სდებს ხელისუფლებას „ორმაგ სტანდარტებში“. მისი აზრით, რუსეთისვის ეკონომიკა – ეს არის ეკონომიკური ზემოქმედების ხერხი და ამიტომ „ღია კარის“ ეკონომიკური პოლიტიკა რუსეთთან დამოკიდებულებაში, რასაც საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს, სახიფათო და მიუღებელია.

„ჩვენ საშუალებას ვაძლევთ რუსეთს, დაუბრკოლებლად დააბანდოს თავისი კაპიტალი საქართველოში, – მინდა ხაზგასმით აღვნიშნო პოლიტიკისაგან არათავისუფალი კაპიტალი, – მით უმეტეს ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან დარგში, როგორიცაა ეკონომიკა, – განაცხადა ჩახვაძემ. – ეს არა მხოლოდ ეკონომიკური ექსპანსიაა, არამედ ლეგალური შესაძლებლობაც რუსეთისთვის შეკრიბოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ და არა მხოლოდ ამის შესახებ“.

დეპუტატს მიაჩნია, რომ რუსეთთან უვიზო რეჟიმის შემოღება ასევე არის სახიფათო.

„ჩვენ არ გვაქვს გარანტია, რომ ეს ერთი შეხედვით კარგი იდეა ცუდი არ გახდება ჩვენთვის. აქვს საქართველოს სახელმწიფოს დაცვის სათანადო მექანიზმი თუ არა – ეს შეკითხვა პასუხს მოითხოვს“, – განაცხადა ჩახვაძემ.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: დიპლომატიური სკანდალი ბელარუსსა და ევროკავშირს შორის ხელს მისცემს რუსეთს – გააძლიერებს მინსკის დამოკიდებულებას**

კრემლში არ მალავენ და იმედი აქვთ, რომ ამ კვირაში კულმინაციას მიღწეული პოლიტიკური კონფლიქტი მინსკსა და ბრიუსელს შორის საბოლოოდ მიიყვანს ბელარუსის ეკონომიკის აქტივების გადასვლას რუსეთის ფედერაციის კონტროლქვეშ. მოლაპარაკება ამ თემაზე შეიძლება დაიწყოს რუსეთის ფედერაციაში პრეზიდენტის არჩევნების დამთავრებისთანავე.

* * *

**სირიის არმია შევიდა „რევოლუციურ დედაქალაქ“ ხომსში და იქ ფრანგი სამხედროები დააპატიმრა**

იერიშის დროს დააკავეს უცხოელი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებმაც განაცხადეს, რომ იყვნენ სირიის ოპოზიციონერების ტყვეობაში. პარიზი სიტუაციას ჯერჯერობით კომენტარს არ უკეთებს. ხომსში გრძელდება სროლები, დაიღუპა 104 კაცი. ბრძოლის ეპიცენტრში აღმოჩნდნენ რუსი ჟურნალისტები: არმია ცერემონიებს აღარ აპირებს.

* * *

**გაერო: ლიბიაში ციხეებში ჰყავთ კადაფის 6 ათასი მომხრე. ხალხს მკაცრად აწამებენ**

ლიბიის მთავრობამ კონტროლზე აიყვანა ყოფილი მეამბოხეების 10 ციხე 60-დან. ხელისუფლება აღიარებს, რომ ქვეყანაში რჩება რაიონები, სადაც არ არის „არც პოლიცია, არც სასამართლოები“: რასაკვირველია, პატიმრებს აწამებენ, მაგრამ პასუხისმგებლობას ნებისმიერი ბოროტმოქმედებისთვის ნებისმიერ ადგილზე ყოფილი რევოლუციონერები არ კისრულობენ.

* * *

**რომნიმ მოიპოვა მორიგი გამარჯვება რესპუბლიკურ პრაიმერიზში აშშ-ში**

ვაიომინგის შტატში რომნიმ ამომრჩეველთა 39 პროცენტის მხარდაჭერა მიიღო, სანტორუმ – 33 პროცენტი, რონ პოლმა – 20 პროცენტი და ნიუტ გრინგიჩმა – 8 პროცენტი. არიზონისა და მიჩიგანის შტატებში გამარჯვებასთან ერთად რომნიმ დაიბრუნა ლიდერობა შინაპარტიულ რბოლაში, რომელშიც იგი დამარცხდა პრაიმერიზში მისურის, მინისოტესა და კოლორადოში. ობამასთან ის ჯერჯერობით აგებს.

# „ქართული ოცნება“: დაბალანსებული საგარეო პოლიტიკა

შარშან, ჟურნალ „ფორბსის“ სიაში მოხვედრილმა მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა ალიანსი „ქართული ოცნება“ დააფუძნა – პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც საქართველოს 2012 წლის ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებში საქართველოს მოქმედი მთავრობის დამარცხებისკენ მიისწრაფვის. ბიძინა ივანიშვილი – რეალური გამოწვევაა და მოვლენა, რომელმაც ახალი სიცოცხლე შთაბერა საქართველოს პოლიტიკურ სივრცეს. თუმცა გაურკვეველი აქ ერთი რამ არის – ივანიშვილის საგარეო-პოლიტიკური სტრატეგია.

მიხეილ სააკაშვილს აქვს მარტივი და გასაგები ხედვა იმისა, თუ როგორია საქართველოს როლი რეგიონალურ და გლობალურ გამოწვევებთან დაკავშირებით, მათ შორის ისეთი პრობლემების გადაწყვეტისთვის, როგორებიცაა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გაჭიანურებული კონფლიქტები; გასაგებია ნატოში წევრობისკენ მისწრაფებაც. ამ ამოცანებს სიცხადე შეაქვს ისეთი საკითხების ანალიზისთვის, როგორიცაა ის, თუ რა გზას ადგას მოქმედი მთავრობა და რას მიიჩნევს მომავალში თავისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებად.

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის გარდამტეხ მომენტად იქცა 2008 წლის აგვისტოს ომი, რომელმაც მოსახლეობაში ამ კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებული იმედები შეამცირა. თავის მხრივ, საქართველო აცნობიერებს ომის შემდგომ რეალიებს: მოსკოვთან ურთიერთობა შეწყვეტილია და კონფლიქტის ღერძი შეცვლილია. სააკაშვილს არასდროს დაპირისპირებია ისეთი „აუტსაიდერი“, როგორიც ივანიშვილია; ყველა მისი პოლიტიკური ოპონენტი ძველი გვარდიიდან, ედუარდ შევარდნაძის მთავრობიდან იყო, რომლებმაც ახალი პოლიტიკური ელიტა შექმნეს. ესენი იყვნენ პარლამენტის ყოფილი სპიკერი ნინო ბურჯანაძე, საქართველოს ყოფილი ელჩი გაეროში ირაკლი ალასანია და სხვები.



შესაბამისად, ივანიშვილის სცენაზე გამოჩენას უამრავი ჭორი მოჰყვა. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ის მთავრობის აგენტია, რომლის მიზანიც ოპოზიციის გახლეჩვაა, სხვები კი მას მოსკოვის მარიონეტობას აბრალებენ. მას საჯაროდ აკრიტიკებენ იმისთვის, რომ მის პოლიტიკურ ფილოსოფიას და საგარეო პოლიტიკას სიცხადე აკლია. პრეზიდენტ სააკაშვილმა 25 თებერვალს თავის გამოსვლაში მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს ღიად განაცხადონ თავიანთი საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების შესახებ. მართალია, ივანიშვილის სახელი მას არ უხსენებია, თუმცა როგორც ჩანს სწორედ ის იყო ამ მოწოდების სამიზნე. ივანიშვილის პოზიცია გაძლიერდა მას შემდეგ, რაც 21 თებერვალს კოალიცია „ქართული ოცნება“ ჩამოაყალიბა, რომელიც მოიცავს პარტიებს „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“, „რესპუბლიკური პარტია“ და „ეროვნული ფორუმი“.

ზოგადად, ივანიშვილი, როგორც ჩანს, დარწმუნებულია, რომ საქართველოს მანევრების სივრცე საერთაშორისო არენაზე მოქმედი ადმინისტრაციის შეცდომების გამო შეიზღუდა, და რომ საქართველომ უნდა იპოვოს საკუთარი ადგილი აშშ-ის და რუსეთის გავლენის სფეროების მიღმა. არის კიდევ რამდენიმე ცნობილი სტრატეგია საგარეო პოლიტიკის მისეულ ხედვაში.

პირველ რიგში, ის არ აკეთებს მინიშნებას იმაზე, თუ რა კონკრეტული გეგმა აქვს კონფლიქტების მოგვარებაზე, მაგრამ პრობლემის გადაწყვეტის გასაღებად სამი ფაქტორის კომბინაცია მიაჩნია: საქართველო მიმზიდველი უნდა გახდეს აფხაზებისა და ოსებისთვის, უნდა მოხდეს რუსეთის ინტერესებთან თანხვედრა და მოძიებულ უნდა იქნას ისეთი ხელსაყრელი საგარეო გარემოებები, რომელიც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს გამოადგება.

მეორე, მას მართლაც აქვს რუსეთთან ურთიერთობასთან დაკავშირებული სპეციფიკური ხედვა, კერძოდ, მოსკოვთან ახლო კავშირების დამყარება. მის თვალში ის, რომ რუსეთი საქართველოს ყველაზე დიდი მეზობელია, რეალობაა, რომელსაც ვერავინ შეცვლის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ნატოში და ევროკავშირში ინტეგრაციაა. „ქართული ოცნების“ სადამფუძნებლო დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ალიანსი მიისწრაფვის „ქვეყნის უსაფრთხოების და რეგიონალური პოზიციის განმტკიცებისკენ, რისთვისაც უნდა გააღრმავოს ინტეგრაცია ევროკავშირსა და ნატოში და მონაწილეობა მიიღოს ეკონომიკასა და რეგიონალური მასშტაბის სამშვიდობო პროცესებში“.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, ივანიშვილის პოლიტიკური ხედვა საჭიროებს გარკვეულ დამატებით იმპულს იმისთვის, რომ მისი პრიორიტეტები უფრო მკაფიო გახდეს. დღევანდელ დღეს, ვერავინ დაძრახავს მას ან პრორუსობის ან პროდასავლურობისთვის. ივანიშვილის დაბალანსებულ პოლიტიკურ მიდგომაზე მეტყველებს მისი კოალიციის შემადგენლობაც, რომლებიც დიდწილად ელიტის წარმომადგენლები არიან – ყოფილი მინისტრები, მეცნიერები, იურისტები, მსახიობები – და ყველა მათგანს შეუძლია მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერის მოპოვება...

**ზაურ შირიევი,**
„Todays Zaman“

გლობუსი

# აშშ-ს ახალი სტრატეგია სირიასთან მიმართებაში

**საქართველო ისე, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ ერაყში, თავით არის გადაშვებული ომში. ომში, რომელშიც მას არაფერი ესაქმება. ავღანეთში ჯარის გაგზავნის საკითხი, ისე როგორც ნატოური ორიენტაცია, სააკაშვილის გაპრეზიდენტებამდე გადაწყდა, მაგრამ მან სხვა დინამიზმი შესძინა ამ საქმეს. როგორც ჩანს, ბრძოლის ველს საბოლოო ჯამში ქართველები და თალიბები შემორჩებიან.**

სხვას ვერაფერს იტყვი, როდესაც ომის წამომწყები აშშ და მისი მოკავშირეები მომავალი წლის ბოლოსთვის ჯარის გამოყვანას ჰპირდებიან საკუთარ და საერთაშორისო საზოგადოებას. სააკაშვილ-ობამას საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა ავღანეთი და იქ მეომარი ქართული კონტინგენტი იყო. დარწმუნებული ვარ ქართული ჯარის ავღანეთში ყოფნისთვის ობამამ მადლობა გადაუხადა სააკაშვილს, რომელმაც უმალ აჯახა მასპინძელს დამატებითი კონტინგენტის გაგზავნა. ობამა, ცხადია კმაყოფილებით შეხვდა სააკაშვილის წინადადებას. ვინმე ელოდა ამაზე ობამას გაგულისებას? რახანია თეთრი სახლი ეხვეწება ნატოელ კოლეგებს ჯარის გაზრდის თაობაზე, თუმცა უშედეგოდ. ასეთ დროს თავგასაპნული სააკაშვილი დგამს პარტნიორისთვის შესაფერის პატრიოტულ ნაბიჯს, რითაც „დიდი წვლილი შეაქვს მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ომში". ამერიკელი ჯარისკაცების მიერ ყურანის დაწვამ, ისევე, როგორც დაღუპული ავღანელი მეომრებისათვის დაშარდვამ, მორიგ ანტიამერიკულ გამოსვლებს დაუდო საფუძველი. **შეურაცხყოფილი ავღანელები სასწრაფოდ მოითხოვენ ოკუპანტთა ქვეყნიდან გასვლას. ამ ოკუპანტებში საქართველოც იგულისხმება. გამოსვლებთან ერთად გახშირდა ოკუპანტებზე შეიარაღებული თავდასხმები, მათი ხოცვაც. გარდაცვლილთა შორის სამი ქართველია. ქვეყანა, რომელიც თვით განიცდის ოკუპაციას, ამერიკელთა წყალობით, ოკუპანტია.**

ვაშინგტონს გაუმართლა მოკავშირე სააკაშვილის სახით. ამერიკელთა ქებით გახალისებული სააკაშვილი ავღანეთს ეწვია და იქ მყოფ ქართველ მეომრებს „სამართლიან" საქმეში მარჯვენა დაულოცა. სამწუხაროდ, მისი იქ ყოფნა სამი მეომრის სიკვდილით აღინიშნა. ავღანეთში ყოფნისას „გონიერმა" მთავარსარდალმა თავისი გამჭოლი ხედვით ისიც შენიშნა, თუ როგორ ნაღმავდნენ თალიბები დაცულ ტერიტორიას, რითაც გვაგრძნობინა, როგორ არ ეშინია ხიფათიან ავღანეთში ყოფნა. „თალიბების საქციელით" მან მთავარსარდლის შიში, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით გორთან ხოხვის დროს გამოავლინა, გააბათილა, დაგვანახა, რომ ხოხვა სულაც ტყუილია და ტელეჟურნალისტთა ფანტაზიის ნაყოფი. თუ მართლაც სააკაშვილის მზერამ დღისით-მზისით დააფიქსირა თალიბთა მიერ დაცული ტერიტორიის დანაღმვის ფაქტი, კარგად ყოფილა ავღანეთში მეომარ აშშ-ის და მისი მოკავშირეების საქმე.

სააკაშვილის მორიგმა გამოხდომამ შეურაცხყოფა მიაყენა ავღანეთში მყოფ აშშ და ნატოს სამხედრო ძალებს. არანაკლები „გამჭრიახობა" გამოიჩინა „ოცნებელმა" სესიაშვილმა — სააკაშვილის პატივსაცემად დადგმულ სამხედრო ოპერაციას შეეწირა სამი ქართველიო, რომ თქვა. რაც არ უნდა გძულდეს პრეზიდენტი, მსგავსი ნათქვამი ჩრდილს აყენებს მთქმელს და არა პრეზიდენტს. როგორც ჩანს, საქართველოში დადგმულ ანტირუსულ სპექტაკლში აერია პოლიტოლოგს ავღანეთი, რაც არ არის გასაკვირი. რა ხანია საქართველოს ხელისუფლება დგამს „რუსულ ტერორისტულ" აქტებს საქართველოში, რაც ყველამ იცის, მაგრამ ხმას არავინ იღებს. ავღანეთს არ ცხელა სპექტაკლებისათვის. იქ რეალურიც კმარა. ან რა შეედრება იმ სპექტაკლს, ბუშმა რომ 10 წლის წინათ დადგა და დღესაც მექსიკური სერიალივით გაუთავებლად გრძელდება — ათასობით მშვიდობიანი ავღანელისა და იქ მეომარი კოალიციის მებრძოლი ჯარისკაცების მსხვერპლით. ავღანეთის ომი ნამდვილად არ ჰგავს ტელეეკრანების საზეიმო კლიპს — ავღანეთში მეომარ ჯარისკაცთა სამშობლოში ტრიუმფალურ დაბრუნებას რომ ასახავს.

**ამერიკა აფასებს საქართველოს ხელისუფლებას ავღანეთისათვის, მაგრამ დაფასება გაცილებით დიდი იქნება, თუ სააკაშვილი ქვეყანაში შემთხვევით შემორჩენილ მოსახლეობას, დიდიან-პატარიანად იარაღს შეასხამს და ავღანეთს უკრავს თავს. სიტყვა „შემთხვევით" შემთხვევით არ მომიყვანია, ვინაიდან დარჩენილ ქართველობას, მათი წასული ნათესავ-მეგობრების მსგავსად, თვალი ქვეყნიდან გაქცევაზე უჭირავს. მილიონზე მეტი ჯან-ღონით სავსე ქართველი რა ხანია ლუკმა-პურისათვის ომობს საზღვარგარეთ. ეს ომიც არცთუ იშვიათად თავდება მსხვერპლით. ფიზიკურ განადგურებას თან ერთვის მორალურიც. ლუკმა-პურისათვის იბრძვის ის, ვინც ავღანეთშია და ისიც ვინც სხვაგან. ერთი — ავტომატით, მეორე — უკანალის საწმენდი ჩვრით. „ბედნიერმა" დამოუკიდებლობამ მოგვიტანა ეს. „ეკონომიკურმა წარმატებებმა". „უზრუნველმა" ცხოვრებამ გაუყენა ერი შინამოუსვლელთა გზას".**

დიდ ამერიკას უყვარს საკუთარი იდეებისათვის ე. წ. სტრატეგიული პარტნიორების ჩართვა. რა ჯობია სხვისი ხელით შენი საქმის კეთებას? ამერიკის კი არა, კაცობრიობის საქმე კეთდება ტერორიზმთან ომით — შემედავება ქართველი პოლიტიკოსი. დარწმუნებული ვარ, გაივლის წლები და პენსიაზე მყოფი სააკაშვილი შევარდნაძესავით იტყვის — ავღანეთში არაფერი გვესაქმებოდაო. დღეს, სხვა ვითარებაა, თავგასაპნულ სააკაშვილს საკუთარი მმართველობის გასახანგრძლივებლად ესაჭიროება ავღანეთი. მაგრამ სააკაშვილი მარტო არ არის. მის ოცნებას „ოცნებაც" უბამს მხარს, სხვა პარტიებიც, რაც სულაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან საგარეო პოლიტიკაში, ისე, როგორც რიგ საშინაო საკითხებში ოპოზიციის კურსი ემთხვევა ხელისუფლებისას. ოპოზიცია თვლის, რომ ავღანეთში იწვრთნება ქართული ჯარი. საინტერესოა, ამ საკითხში ემთხვევა თუ არა მათ მოსაზრებას ავღანეთში დაღუპული მებრძოლების ოჯახების მოსაზრება? **როგორც ჩანს, ვერც ხელისუფლება და ვერც ოპოზიცია ვერ ხვდება, რომ ავღანეთში ან ნატოში ყოფნით საქართველოს უფრო მეტად დაუშავდება, ვიდრე წაადგება.**



აშშ-ს უყვარს საკუთარ პროექტში, თანაც ასეთში, სხვათა ჩართვა. ამით ის მსოფლიოს თვალში ახდენს უვარგისი პროექტის გალეგიტიმურებას. აშშ-ს დიდი მნიშვნელობა აქვს, მისი მოკავშირეებიდან ვინ რამდენ ჯარისკაცს გაგზავნის ავღანეთში, მაგრამ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ომში მონაწილე ქვეყნების რაოდენობას. ცნობისთვის მოგახსენებთ, რომ კოალიციაში ჩართული ბევრი ქვეყნის ჯარისკაცი საბრძოლო ოპერაციებში არ იღებს მონაწილეობას — საქართველო იღებს. აშშ-ს წყალობით ომებს რა გამოლევს მსოფლიოში. ასე რომ, ავღანეთის მოთავების შემდეგ ქართველ ჯარისკაცს კარგი წვრთნის შანსი მიეცემა სირიაში, ირანში, სხვაგან. ამერიკულ-ებრაული პროექტით, სწორედ ეს ქვეყნებია ამოღებული ნიშანში. ვინ იცის, ავღანეთის ომის დამთავრებამდე დაიწყოს ამ „შესაშური" პროექტის განხორციელება? და თუ ასე მოხდა, საქართველოს ჩართულობას წინ ვინ დაუდგება? გასაკვირი ისაა, რატომ არ მონაწილეობდა საქართველოს „არმია" ლიბიის ოპერაციაში.

სირიის ირგვლივ ატეხილი დავიდარაბა წყლის წვეთებივით წააგავს ლიბიის ამბებს. დასავლური მედია და პოლიტიკოსობა სირიის ვითარების შესაფასებლად, ისე როგორც ლიბიაში — ორ ფერს იყენებენ — თეთრს და შავს. თეთრი — სირიის განმათავისუფლებელი არმიის დახასიათებისთვის იხარჯება. შავი — სირიის ხელისუფლებისათვის. ასე იყო ლიბიაში, როდესაც ნატოს საჰაერო შეტევა და მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების დაბომბვა, დიდი მსხვერპლით — თეთრად იხატებოდა.

აშშ-ს ძალისხმევით თითქმის მთელი მსოფლიო სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის წინააღმდეგ ირაზმება. მართალია, აშშ-ს გაეროს უშიშროების საბჭოში არ გამოუვიდა ანტისირიული რეზოლუციის მიღება — რუსეთ-ჩინეთის ვეტომ იხსნა სირია, მაგრამ ამერიკა ის არ არის, კარ-ფანჯრის ჩაკეტვისას უნიტაზიდან არ შევიდეს ბინაში. აშშ-ს დაჟინებული მოთხოვნით ევროკავშირმა შემოიღო მკაცრი ანტისირიული სანქციები. აშშ-ს მოკავშირე საფრანგეთის პრეზიდენტმა სარკოზიმ თავისი ინიციატივით შექმნა ე. წ. სირიის მეგობარი ქვეყნების ჯგუფი. ანალოგიურს ჰქონდა ადგილი ლიბიაშიც. გასულ კვირას ტუნისში გაიმართა ამ ჯგუფის, აშშ-ს და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შეხვედრა. ამ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ სირიის ხელისუფლების ოპოზიციური ძალები სირიის ლეგიტიმურ ხელისუფლებად აღიარონ და ეს მაშინ, როდესაც სირიას ჰყავს ხელისუფლება. მაროკოს შეხვედრამ გადაწყვიტა სირიის ოპოზიციისა და ანტისამთავრობო ძალებისათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევა. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ და ტუნისის შეხვედრამ ყველაფერი თავის ადგილას დააყენა. უკვე აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ანტისირიული კამპანია ვაშინგტონში დაგეგმილი პროექტის გამოვლინებაა. მსგავსი პროექტი ერთი წელია მოქმედებს არაბულ სამყაროში. არაბული რევოლუციების დასაწყისში ვერავინ იფიქრებდა, რომ რევოლუციები ამერიკის სპეცსამსახურების მიერ იყო ინსპირირებული. ყველა თვლიდა, რომ არაბთა ამბოხი მხოლოდ გაუსაძლისი ცხოვრებით და უსამართლობით იყო გამოწვეული. აშშ-ს სტრატეგია არც ამ შემთხვევაში გამოდგა ნაკლოვანი. მის მიერ გამოგონილ-გამოვლენილი სტრატეგია ისეთი ღონისძიებების გატარებას მოითხოვს, რაც მხოლოდ აშშ-ს შეუძლია. ძნელად მოიძებნება ქვეყანა, რომელიც ასწევს მსოფლიოს პროპაგანდისტულ მანქანას ჯეროვან დონეზე — მასში ტელეკომპანიების, ინტერნეტის, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვით.

ამერიკული პროექტით ყველაფერი იწყება არასასურველი ქვეყნის ხელისუფლების დისკრედიტაციით. მზადდება ციკლი გადაცემებისა ქვეყნის ანტიჰუმანური ხელისუფლების შესახებ, რითაც ხდება მსოფლიო საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულების გაღვივება. ამჯერად პროგრამაში სირია-ირანია. პროპაგანდა გაშლილია თვით მიუღებელი ქვეყნების მოსახლეობაზეც. მათ დღენიადაგ ჩასჩიჩინებენ უცხოური მედიასაშუალებები, ინტერნეტი — რაოდენ აუტანელია მათი ხელისუფლება და მოუწოდებენ ხალხს მასობრივი დემონსტრაციებისკენ. ყოველივე აღნიშნულს მხარს უბამს არასამთავრობო ორგანიზაციები, — უცხოეთიდან, კერძოდ, აშშ-დან დაფინანსებულ-დაპურებული. ისინი, ამერიკულ ინსტიტუტებთან ერთად, წამლავენ საზოგადოებას, აფინანსებენ მას ანტისამთავრობო ღონისძიებების გატარებისთვის. ამას წინათ ეგვიპტის ახალმა პარლამენტმა ანტისახელისუფლებო გამოსვლების მოწყობაში ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციები დაადანაშაულა და სასამართლოში მისცა. ეგვიპტელთა პასუხად, აშშ-ს ადმინისტრაციამ, ყოველგვარი მორიდების გარეშე განაცხადა, რომ ცუდი შედეგის შემთხვევაში ამერიკა არ მისცემს ეგვიპტეს 1.3 მილიარდი დოლარის დახმარებას.

ამერიკული პროექტით, გარდა პროპაგანდისტული მანქანის ამოქმედებისა, იწყება ეკონომიკური სანქციები და მოსახლეობის ქუჩაში გამოყვანა ერთი მოთხოვნით — ხელისუფლების გადადგომა. იმ შემთხვევაში, თუ დემონსტრანტთა მოთხოვნა წარმატებით თავდება, უმალ იქმნება ახალი ხელისუფლება — დასავლეთისადმი ლოიალურად განწყობილი. მაგრამ, მაშინ როდესაც დემონსტრაციით არაფერი გამოდის, ძირითადი აქცენტი გადადის დემონსტრანტთა პოლიციასთან შეტაკებაზე, მსხვერპლზე. ასეთ დროს ხელისუფლება პირსისხლიან ჯალათად სახელდება და მასთან საბრძოლველად ამოქმედდება სპეცდანიშნულების უცხოური რაზმები. სწორედ ასეთს აქვს ადგილი სირიაში, სადაც ინგლისელებთან ერთად მონაწილეობენ ყატარისა და საუდის არაბეთის სპეცდანიშნულების რაზმები. უყვართ ამერიკელებს სტრატეგიული მოკავშირეების გამოყენება. უცხოური სპეცდანიშნულების რაზმები წვრთნიან ადგილობრივ ამბოხებულებს, რომლებიც ღია კონფლიქტში შედიან სამთავრობო ძალებთან. და თუ ამ ძალისხმევითაც არ მიიღწევა ხელისუფლების დამხობა, იწყება გარედან ინტერვენცია — საჰაერო თავდასხმების სახით. ასეთ ოპერაციას უკონტაქტო ოპერაცია ჰქვია, ვინაიდან მასში არ მონაწილეობენ უცხური ქვეითები. სახმელეთო ოპერაციას ადგილობრივი მეამბოხეები ახორციელებენ. სირიაში — ამერიკული სტრატეგიის ყველა ასპექტია ამოქმედებული, გარდა ერთისა — საჰაერო დარტყმა, თუმცა განვითარებული მოვლენები ნათელყოფენ, რომ ესეც მალე შეიძლება მოხდეს.

დასავლეთის, განსაკუთრებით ამერიკის, უმთავრესი მოთხოვნა — ასადისა და მისი ხელისუფლების გადადგომაა. დასავლეთმა ყურად არ იღო სირიის ხელისუფლების მიერ გასულ კვირას ჩატარებული რეფერენდუმი ახალი კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით. რეფერენდუმში 23-მილიონიანი სირიის 60 პროცენტზე მეტმა მიიღო მონაწილეობა. ახალი კონსტიტუცია წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ არც აშშ-ს და არც მის მოკავშირეებს გაგონებაც არ უნდათ ამის. მათი მიზანი სირიის ხელისუფლების შეცვლაა.

**აშშ-ს სტრატეგია, რომელმაც კბილები უკვე გამოაჩინა არაბულ ქვეყნებში, სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ ირაზმება და რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, სირიის შემთხვევაში ამერიკა-ალ ყაიდას პოზიციები ემთხვევა ერთმანეთს. სირიის ხელისუფალთა განმარტებით, აჯანყებულ ქალაქებში მებრძოლი ბოევიკებიდან უმეტესობა ალ ყაიდას წარმომადგენლებია. როგორც ჩანს, მიზნის განხორციელებისთვის ამერიკა ყველა ხერხს მიმართავს. რით დასრულდება სირიის საკითხი, არავინ უწყის. რომ არა რუსეთ-ჩინეთის მტკიცე პოზიცია, ბაშარ ასადს კარგა ხნის წირვა ექნებოდა გამოყვანილი. ეს ორი დიდი სახელმწიფო — უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები მტკიცედ დგანან თავიანთ პოზიციაზე, მაგრამ გადაარჩენს ეს სირიის ხელისუფლებას?**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### „სააკაშვილი, როგორც პოლიტიკოსი, დასრულდა"

„ქართული დასის" ლიდერი, დეპუტატი ჯონდი ბაღათურია თვლის, რომ პარლამენტში გამართული პოლიტიკური დებატების შემდეგ, „მიხეილ სააკაშვილი, როგორც პოლიტიკოსი, დასრულდა". ბაღათურია იმასაც ამბობს, რომ „პრეზიდენტის გუშინდელი საქციელი დღეს ყველა ქვეყნის პრეზიდენტისთვის არის ცნობილი... ასეთები უკვე პოლიტიკოსობას ამთავრებენ".

**„ახალი თაობა".**

### სკოლის დარაჯი „ქართული ოცნების" გაზეთის კითხვის გამო მოხსნეს

61 წლის ზური თავართქილაძე 20 წელზე მეტი ფოთის მე-7 საჯარო სკოლაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. იყო სამეურნეო ნაწილის გამგე და ხელოვნების მასწავლებელი. დაახლოებით ორი კვირის წინათ კი სკოლიდან გაათავისუფლეს. თავართქილაძე სკოლიდან გათავისუფლების მიზეზად იმას ასახელებს, რომ სკოლაში „ქართული ოცნების" გაზეთს კითხულობდა.

**„რეზონანსი".**

### „ეს იყო სააკაშვილის შესაშური გულახდილობა"

— ამბობს „ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი, — მართლაც, ყველაფერს იკადრებს, ყველაფერს ჩაიდენს, ყველა სიბინძურეს ხელს მოაწერს, სისხლსაც დაღვრის, ადამიანებსაც შეჭამს ცოცხლად, ყოველნაირ ძალას გამოიყენებს, ყველას მოისყიდის, ყველას დააშანტაჟებს, ვისაც შეეშინდება, ყველას შეაშინებს და არ წავა!

**„ალია".**

ფეხბურთი

# ვირტუალური კმაყოფილება

**აქამდე გამართული თერთმეტი შესარჩევი და ამხანაგური შეხვედრიდან საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ალბანელებთან 6 მოიგო, მათ შორის თბილისში — ყველა. ტრადიციას „ჯვაროსნებმა“ ამჯერადაც უერთგულეს, მაგრამ...**

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე თემურ ქეცბაიამ შეკრებილთა აბსოლუტური უმრავლესობა პირში ჩალაგამოვლებული დატოვა და თავი დაიმშვიდა: მართალია, ჩემს შეგირდთა უმეტესობას ჯერ სეზონი არ დაწყებია, მაგრამ მათი თამაშით შესვენების შემდეგ და გამარჯვებით მაინც კმაყოფილი ვარო. კიდევ კარგი, სწორუპოვარი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ნანახსა და განცდილს მხოლოდ ერთეულები თუ აფასებენ დადებითად. დავიჯეროთ, მასპინძელთა



მწვრთნელმა არ იცის, რომ ზამთრის სალათას ძილის შემდეგ სათამაშო პრაქტიკის დეფიციტს სტუმრებიც უჩიოდნენ, ხოლო წამყვან ევროპულ კლუბებში, ზოგიერთი ჩვენებურისგან განსხვავებით, მათგან არც ერთი არ ირიცხება. ალარაფერს ვამბობთ მოლდოველი მსაჯის უანგარო გულუხვობაზე, რომელმაც მეტოქე ნოკდაუნში ჩააგდო და ჩვენთვის დაუვიწყარი 1981 წლის ევროსეზონის ანტიგმირი, ავადმოსაგონარი ავსტრიელი შაოსანი ფრანც ვიორერი გაგვახსენა.

**საქართველო — ალბანეთი 2:1 (0:1)**

**გოლები:** კობახიძე, ამისულაშვილი; კანი.

უსაგნო მსჯელობით რომ არ შევაწყინოთ თავი, შევადაროთ ერთმანეთს ქართველთა ნაკაიკაცარი შესვენებამდე და მის შემდეგ.

**I ტაიმი:** არ გვყავდა მეკარე (რევიშვილმა ერთადერთი, არცთუ აუღებელი დარტყმის შემდეგ გაუშვა გოლი); მოშლილი იყო დაცვის ცენტრი (მისმა ბურჯმა, კალაძის მემკვიდრემ ხიზანიშვილმა კაპიტნისსამკლაურიანი დებიუტი ბრძოლის დასაწყისშივე დაშვებული ბავშვური შეცდომით აღნიშნა, რასაც სტუმართა დაწინაურება მოჰყვა); არ გვყავდა მინდვრის ცენტრში ბურთის დამჭერი (ადვილი წარმოსადგენია, ამ პოზიციაზე როგორი კრიზისი გვექნება, როცა კარიერას კობიაშვილი დაასრულებს); ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა ერთადერთი თავდამსხმელის დვალიშვილის ძველმოდური ბლლარძუნი, რომელიც ბურთს კარისკენ ზურგშექცევით მდგომი ილებდა, უფრო სწორად — ცდილობდა, რომ მიელო და მას ვერც პარტნიორებისთვის გადასაცემად იმეტებდა.

II ტაიმი: მდგომარეობის გამოსასწორებლად საკმარისი აღმოჩნდა სარბიელზე მეორე ფორვარდის გამოშვება, რის შემდეგაც ნახევარმცველებმა შედარებით დაალაგეს თამაში, ხოლო მთლიანად გუნდმა დაახლოებით 10-15 წუთის განმავლობაში ტემპსაც მოუმატეს. თუმცა, ისიც უნდა ვიკითხოთ, რომ არა მოლდოველი არბიტრი, შეიცვლებოდა ანგარიში ტაბლოზე? ჰოდა, გვაქვს კი კმაყოფილების საბაბი?

საბედნიეროდ, არის მართლაც სასიხარულო სიახლე: ოცდაათთვიანი მკურნალობისა და იძულებითი უქმობის შემდეგ გუნდს ლევან ყენია დაუბრუნდა.

ვიმედოვნებთ, თემურ ქეცბაია აწი მაინც დაძლევს პიროვნულ ბოლმაში გადაზრდილ პრინციპულობას და, ისევ და ისევ ეროვნული ნაკრების საკეთილდღეოდ, უახლოეს საწვრთნელ შეკრებაზე ასათიანსა და გოგუას გამოიძახებს.

**გერმანია — საფრანგეთი 1:2, ინგლისი — ჰოლანდია 2:3, იტალია — აშშ 0:1, შვეიცარია — არგენტინა 1:3, ესპანეთი — ვენესუელა 5:0, დანია — რუსეთი 0:2, ბოსნია — ბრაზილია 1:2.**

**გია პლატონიშვილი**

კალათბურთი

# ქართული ლიტვა




**მართალია, ლიტვაში შარშან გამართულ „ევრობასკეტზე“ ამ პრესტიჟული ოფიციალური ტურნირის დებიუტანტმა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა რვიდან ექვსი მატჩი წააგო, მაგრამ კონტინენტის 12 საუკეთესო გუნდში მაინც მოხვდა, საკალათბურთო სამყაროს სიმპათია დაიმსახურა და ყველასათვის ანგარიშგასაწევ მეტოქედ ითვლება.**

ბუნებრივია, ეს წარმატება ჰაერიდან არ მოსულა და პარტნიორებთან ერთად ის მანუჩარ მარკოიშვილმა და გიორგი შერმადინმა გამოჭედეს.

...და აი, გავიდა რამდენიმე თვე და იტალიის „კანტუს“ ქართველმა ლეგიონერებმა ბალტიისპირეთში კიდევ ერთხელ გაიბრწყინეს, ამჯერად აპენინური კლუბის მაისურით.

უკვე გაუწყეთ, რომ ანდრეა ტრინჩიერის შეგირდებმა ევროლიგის მეორე ჯგუფური რაუნდის ბოლოსწინა ტურში დაკარგეს პლეი-ოფში გასვლის შანსი, რამაც ზოგ-ზოგიერთებს აფიქრებინა, რომ ისინი მთლად პროფესიულად არ მოეკიდებოდნენ „ჟალგირისთან“ გასვლით შეხვედრას, მით უმეტეს მაშინ, როცა მოტივაცია მასპინძლებსაც დაკარგული ჰქონდათ და რადგან მანამდე ყველა თამაში წააგეს, მხოლოდ პრესტიჟის შესანარჩუნებელი გამარჯვებისთვის უნდა ებრძოლათ.

მოკლედ, „სერია-ა“-ს ერთ-ერთმა ლიდერმა უმწვავესი დუელი 77:71 მოიგო და მისი მონაგრის ორი მესამედი ჩვენმა თანამემამულეებმა მიითვალეს: მანუჩარ მარკოიშვილი — 32(!) ქულა, გიორგი შერმადინი — 16 ქულა, 8 მოხსნა. დაგვეთანხმებით, შთამბეჭდავი ციფრებია. დასანანი მხოლოდ ისაა, რომ მათი ძალისხმევის მიუხედავად, სტუმრები მეოთხედფინალს მიღმა დარჩნენ.

**დანარჩენი შედეგები:** „ბარსელონა“ — „მაკაბი“ 70:67, „უნიქსი“ — „პანათინაიკოსი“ 63:68, „მილანი“ — „ფენერბახჩე“ 85:72.

აღსანიშნავია, რომ იტალიელებს ამ ჯგუფშიც გადაწყვეტილი ჰქონდათ ელიტაში გაღწევის იმედი, მაგრამ ავტორიტეტს მოუფრთხილდნენ და ღირსებას არ უღალატეს, რის შედეგადაც თურქულ ლომს ნაადრევად მოუწია ევროსეზონის დასრულება.

ასე რომ, ოთხთა ფინალის საგზურებისთვის „ბარსელონა“, „მაკაბი“, „პანათინაიკოსი“ და „უნიქსი“ განაგრძობენ ბრძოლას.

**გიორგი შოთაძე**

ჭადრაკი

# ძაგნიძემ მე-5 საფეხურზე აინაცვლა

**ყოველ ორ თვეში ერთხელ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია დიდოსტატ და საერთაშორისო ოსტატ ქალ-ვაჟთა რეიტინგებს აქვეყნებს. საპირველმარტოდ ფიდემ განახლებული მონაცემები გამოამზეურა.** ქალთა პირველ ათეულში ნანა ძაგნიძემ, რომელმაც ახლახან თბილისში პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის სუპერტურნირი მოიგო, 2559 პუნქტით მეცხრედან მეხუთე საფეხურზე აინაცვლა. პირველ ადგილზე ისევ იუდით პოლგარია (უნგრეთი, 2709), მომდევნო ადგილებზე არიან: ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2639), ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2589), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2583), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2557), კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2546), ჟაო სიუ (ჩინეთი, 2543), ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 2535), ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2531).

ძაგნიძის გარდა, ჩვენებურთაგან პირველ ასეულში არიან: 16. მაია ჩიბურდანიძე, 22. ბელა ხოტენაშვილი, 37. ლელა ჯავახიშვილი, 39. ნინო ხურციძე, 40. ანა მათნაძე, 44. ნინო ბაციაშვილი, 61. სოფიკო ხუხაშვილი, 62. ნაზი პაიკიძე, 65. სალომე მელია, 70. სოფიკო გურამიშვილი, 80. თამარ წერეთელი, 97. მაია ლომინეიშვილი.

ვაჟთა ასეულს ისევ მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2835) უდგას სათავეში. მეორე-მესამე ადგილებზე არიან სომეხი ლევონ არონიანი (2820) და რუსი ვლადიმერ კრამნიკი (2801). გალელი დიდოსტატი ბაადურ ჯობავა 2706 პუნქტით ოცდამეთერთმეტეა.

ქართველი მოჭადრაკე ქალები დღეიდან თურქულ გაზიანთეფში ინდივიდუალურ ევროპის ჩემპიონატში ჩაებმებიან. მედლებისთვის ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, ნინო ხურციძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ბაციაშვილი, სალომე მელია, მირანდა მიქაძე,




სოფიო გვეტაძე, სოფიო გურამიშვილი, ნაზი პაიკიძე, მერი არაბიძე იბრძოლებენ. ვაჟთა პაექრობები 19 მარტიდან ბულგარეთში დაიწყება. შეჯიბრებაში ქართველთაგან ბაადურ ჯობავა, ლევან ფანცულაია და მიხეილ მჭედლიშვილი იასპარეზებენ.

**ლექსო ცინცაძე**

წყალბურთი

# „ოლიმპიკი“ უმასპინძლებს

**საწყლოსნო კომპლექსი „ოლიმპიკი“ დღეიდან სამ ასაკში წყალბურთელთა საქართველოს პირველობებს უმასპინძლებს. უფროს ასაკში 6, 1996-1997-წლიანებში — შვიდი, ხოლო 1998-1999 წლებში დაბადებულთა შორის — 8 გუნდი იასპარეზებს. მედლებისთვის მებრძოლთა შორის თბილისელებთან ერთად ქუთაისის, ბათუმისა და საჩხერის გუნდებიც იქნებიან.**



აპრილის დასაწყისში „ნოდარ გვახარიას თასზე“ საერთაშორისო ტურნირში საქართველოს, ყაზახეთის, თურქეთისა და ბელარუსის გუნდები ითამაშებენ.

**ლაშა დიდია**

ინტერნეტიდან

## კლიჩკო მერობას უმიზნებს

**მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი კრივში სუპერმძიმე წონაში WBC ვერსიით და ამავე დროს პარტიის „დარტყმა“ ლიდერი ვიტალი კლიჩკო თავის კანდიდატურას წამოაყენებს კიევის მერის არჩევნებში.**

„უკვე არაერთხელ მითქვამს, რომ არ შეიძლება კიევი ცალკე იყოს და ცხოვრობდეს იმ მოვლენებიდან ცალკე, რომლებიც ქვეყანაში ხდება. მე მონაწილეობას მივიღებ კიევის არჩევნებში და ჩვენი პარტია „დარტყმა“ კი ასევე მონაწილეობას მიიღებს პარლამენტის არჩევნებში“, — განაცხადა უფროსმა კლიჩკომ უკრაინის მეხუთე არხზე.



კითხვაზე, ნიშნავს თუ არა ეს, რომ ის მონაწილეობას მიიღებს უმაღლესი რადას არჩევნებშიც, თუ კიევის მერის არჩევნებზე დამარცხდება, კლიჩკომ უპასუხა: **„ჩვენ გავიმარჯვებთ ორივეგან“.**

ალბათ გახსოვთ, ვიტალი კლიჩკომ ერთხელ კიდევ უარყო ხმები, თითქოს ის ამთავრებს სპორტულ კარიერას და 18 თებერვლის ღამეს ზედიზედ მერვედ დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება დერეკ ჩისორასთან ბრძოლაში.

კლიჩკო მესამედ მონაწილეობს კიევის მერის არჩევნებში — 2006 წელს მან მეორე ადგილი დაიკავა, 2008 წელს კი კიევის მერის ვადამდელ არჩევნებში მესამე იყო. 2006 წელს უფროსი კლიჩკო კიევის საქალაქო საბჭოს დეპუტატი გახდა.

## ოლიმპიადას დედოფალი გახსნის




**როგორც ლონდონიდან იტყობინებიან, ბუკინგემის სასახლის მიერ გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, 27 ივლისს ლონდონის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს გახსნიან დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II და მისი მეუღლე — ედინბურგის ჰერცოგი.**

## ჩოგბურთელმა კიბო დაამარცხა

**ექიმებმა 22 წლის ჩოგბურთელს ალისა კლეიბანოვას გამოუტანეს დიაგნოზი — ხოჯკინის დაავადება, რაც კიბოს ნაირსახეობაა. ალისა 2011 წლის მაისის შემდეგ კორტებზე აღარ გამოჩენილა. ის რამდენიმე თვეს ებრძოდა ავ სენს იტალიის კლინიკებში და ახლა უკვე ელიან მის დაბრუნებას დიდ ჩოგბურთში.**




მან მკურნალობა დეკემბერში დაამთავრა და როგორც თავად აცხადებს, თავს დიდებულად გრძნობს. ახლა ლარისა ფლორიდაშია და ემზადება მაიამის (აშშ) ტურნირისათვის, რომელიც მარტში უნდა გაიმართოს.

კლეიბანოვამ თავის კარიერაში WTA ტურნირებში ორი ტიტული მოიპოვა — ორივე 2010 წელს და 2 მილიონ დოლარზე მეტი საპრიზო თანხა გამოიმუშავა.

## სანთელი

# ვალერი ბაქრაძე



„ულალატობა ნდობის საწინდარია. ორივე ერთად კი — გამარჯვების". ეს სიტყვები ვალერი ბაქრაძეს ეკუთვნის. ეს იყო მისი ცხოვრებისეული მრწამსი. ჩვენთვის მართლაც ულალატო მეგობარი იყო. საზოგადოებისთვის — ულალატო საქმის კაცი. აქტიური საქმიანობა ადრეული ასაკიდან დაიწყო, უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დამთავრებისთანავე. ჯერ ასპირანტურაში ჩაირიცხა; მერე ასპირანტ ვალერი ბაქრაძეს უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნად ირჩევენ. შემთხვევითი პიროვნება უნივერსიტეტის ახალგაზრდობის ლიდერი ვერ გახდებოდა. გამორჩეული თვისებები უნდა ჰქონოდა — ინტელექტით დაწყებული, ოჯახიშვილობითა და გარეგნობით დამთავრებული. ასე იყო მაშინ.

ვალერი ბაქრაძე არა მარტო ოფიციალურად დადგენილ კრიტერიუმს აკმაყოფილებდა, არამედ ყველა ადამიანური სიკეთით იყო შემკული. დაუდეგარი და ბოზოქარი ხასიათის პიროვნება გასაოცარი სიალალითა და სითბოთი გამოირჩეოდა... ასე იცხოვრა 65 წელიწადი. 65 წელი ბევრი არ არის, მაგრამ არც ცოტაა აქტიური საქმის კაცისთვის. ამიტომ არის, რომ ბევრი რამ მოასწრო ვალერი ბაქრაძემ. ბევრიც ილვაწა და ბევრსაც დაამახსოვრა თავი. სადაც არ უნდა ყოფილიყო — იქნებოდა 70-იანი წლების საქართველოს ახალგაზრდობის ლიდერი, ლაგოდეხის რაიონის ხელმძღვანელი, საქართველოს საგამომცემლო საქმის — ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავკაცი თუ რესპუბლიკაში სამართლიანობისა და მართლწესრიგისთვის ბრძოლის ერთ-ერთი წარმმართველი, ყველგან გამოირჩეოდა არასტანდარტული, სხარტი, მასშტაბური აზროვნებით, ენერგიული და გაბედული ზემოქმედებით, სიახლისკენ მუდმივი სწრაფვით. თავისი პიროვნული თვისებებით, საქმიანობისა და აზროვნების წესით ვალერი ბაქრაძე გამოკვეთილი სახელმწიფო მოღვაწე იყო. მისთვის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესები ყველაზე მაღალ ღირებულებებს წარმოადგენდა.

ზემოთქმულის ნიმუშად ერთი მაგალითიც გამოდგება. ვალერი ბაქრაძეს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარეობის დროს სახელმწიფო დოტაციაზე მყოფი საქართველოს გამომცემლობები მომგებიან საწარმოებად იქცნენ.

ვალერი ბაქრაძის სახელმწიფოებრივი და ეროვნული აზროვნების მასშტაბურობაზე მეტყველებს მისი მოღვაწეობა დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობის პროცესში. ის იყო სამცხე-ჯავახეთის მხარის პირველი რწმუნებული (გუბერნატორი). სწორედ მისი ძალისხმევით ჩამოყალიბდა სახელმწიფო სტრუქტურები აღნიშნულ რეგიონში, რამაც განსაკუთრებული როლი ითამაშა მთლიანად ქვეყნის სამხარეო მოწყობაში. თავად ვალერიმ კი ასეთივე განსაკუთრებული როლი ითამაშა თითოეული ჩვენგანის — თავისი მრავალრიცხოვანი ახლობლისა და მეგობრის ცხოვრებაში. ამიტომაც იხსენებს დღეს უამრავი ადამიანი ვალერი ბაქრაძის უშურველად გაცემულ გულის სითბოსა და თანადგომას. ამიტომაც მივაცილებთ თვალცრემლიანნი.

მეგობრები და კოლეგები

---

იური ჭედია, რევაზ არველაძე, ვაჟა მეტრეველი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ენერგეტიკოსი, კაცური კაცი

**რენო ურუშაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

## ხსოვნა

# თენგიზ ილიას ძე ახმეტელი

2012 წლის 29 თებერვალს გარდაიცვალა ღვაწლმოსილი დასტაქარი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე, პროფესორი თენგიზ ილიას ძე ახმეტელი.

თ. ახმეტელი დაიბადა 1924 წლის 1 ოქტომბერს თბილისში, შესანიშნავი დასტაქრის — ილია ახმეტელის ოჯახში, საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს მიაშურა. აქედან იწყება მისი დიდი სამედიცინო მოღვაწეობა.

ჯერ კიდევ პირველი კურსის სტუდენტმა დაწერა სამეცნიერო შრომა „ადამიანის მენჯის თავისებურება მექანიკის თვალსაზრისით", რომელმაც მოწონება დაიმსახურა, და აკადემიკოსმა ნათიშვილმა მეორე კურსის სტუდენტი ასისტენტად მიიწვია ნორმალური ანატომიის კათედრაზე. სწავლის პერიოდში გამოირჩეოდა მაღალი ერუდიციით, შრომისმოყვარეობით, იყო ი. თარხნიშვილის სახელობის სტიპენდიატი.



1947 წელს წარჩინებით ამთავრებს სამედიცინო ინსტიტუტს, 1947-1951 წლებში იყო ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი, 1947 წელს იწყებს ქირურგიულ მოღვაწეობას. 1951-1957 წლებში არის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ორდინატორი, 1954 წელს მუშაობს მოსკოვის სკლიფასოვსკის სახელობის ინსტიტუტში პროფესორ პ. ანდროსოვთან, 1957-1959 წლებში რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს გულ-მკერდის ქირურგიის განყოფილება ჩააბარეს, 1959-1961 წლებში იგი იყო აკად. ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის, შემდეგ ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, 1961 წლიდან თსსი — ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ასისტენტი, 1963 წლიდან — დოცენტი, 1970 წლიდან პროფესორი, ხოლო 1983-1995 წლებში ამავე კათედრის გამგე. შემდეგ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა ამავე კათედრის პროფესორად.

მას წილად ხვდა ბედნიერება ემუშავა და თვალყური ედევნებინა ქირურგიის ისეთი კორიფესათვის, როგორიც იყო ქართული ქირურგიის ფუძემდებელი, აკადემიკოსი გრ. მუხაძე. წლების განმავლობაში მუშაობდა აკად. კ. ერისთავისა და პროფ. მ. ჩაჩავას ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ მის დაოსტატებასა და პროფესიული სიდარბაისლის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი აკად. მ. კომახიძემ შეასრულა.

ბატონმა თენგიზმა 1958 წელს საკანდიდატო, ხოლო 1967 წელს, სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ტოქსიკური ჩიყვის ქირურგიული მკურნალობის საკითხებზე.

1986 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, 1994 წელს აირჩიეს მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსად, 1997-ში სამხედრო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსად. 1995 წელს ერთ-ერთი პირველთაგანი ქართველ მედიკოსთა შორის დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით".

პროფესორი თ. ახმეტელი იყო ბრწყინვალე ქირურგი, ერუდირებული და ნაყოფიერი მეცნიერი. მან შეასრულა 250-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის 27 მონოგრაფია და ორი დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის. შრომები ეხებოდა ქირურგიის აქტუალურ პრობლემებს. პროფ. თ. ახმეტელის მონოგრაფიები წარმოადგენენ კაპიტალურ ნაშრომებს, მრავალი წლის მიზანდასახული კვლევის შედეგებს, შესრულებული იყო მაღალმეცნიერულ დონეზე.

პროფ. თ. ახმეტელი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის სამეცნიერო კადრების მომზადებაში. მისი ხელმძღვანელობით და კონსულტაციით შესრულებულია 8 სადოქტორო და 15 საკანდიდატო დისერტაცია. წლების განმავლობაში იყო საქართველოს ქირურგთა საზოგადოების გენერალური მდივანი (1972-81ძ, გრ. მუხაძის სახელობის თბილისის ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ქირურგთა და საქართველოს გასტროენტეროლოგთა საზოგადოების გამგეობის წევრი, რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ბატონმა თენგიზმა თავის სათნო მეუღლესთან მანანა ყიფიანთან ერთად სამშობლოს აღუზარდა შესანიშნავი შვილები ქეთევანი, მედიცინის დოქტორი და ლალი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, რომელიც მამის კვალს გაჰყვა.

პროფესორი თ. ახმეტელი გამოირჩეოდა უალრესი თავმდაბლობით, კეთილშობილებით, უანგაროებით, კეთილსინდისიერებით, საქმისადმი უდიდესი ერთგულებითა და სიყვარულით, მაღალი ერუდიციით და საკითხის ღრმა ცოდნით, მისი ლექციები, ოპერაციული ტექნიკა ზედმიწევნით დახვეწილი იყო.

წავიდა ჩვენგან ქართული ქირურგიის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი, ღვაწლმოსილი პედაგოგი და მეცნიერი, პრაქტიკული მედიცინის ძლიერი და თვალსაჩინო მოღვაწე, წავიდა ვალმოხდილი საზოგადოებისა და ოჯახის წინაშე. მის ხსოვნას პატივს მიაგებენ დამწუხრებული სამედიცინო საზოგადოება და მრავალრიცხოვანი მოწაფეები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიულ სნეულებათა მიმართულება (ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრა კლინიკის განყოფილებებით).

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიულ სნეულებათა მიმართულება (ყოფილი ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაძ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სასიქადულო მამულიშვილი და სახელოვანი მეცნიერი, სწორუპოვარი დასტაქარი და ქირურგთა არაერთი თაობის აღმზრდელი, თსსუ ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგე 1983-1995 წლებში, საქართველოს მედიკო-ბიოლოგიური აკადემიისა და სამხედრო-სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი, გრ. მუხაძის სახელობის თბილისის ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს ქირურგთა ასოციაციის გამგეობის წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**თენგიზ ილიას ძე ახმეტელი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

## მნახველთა მოწონება დაიმსახურა

# საქართველოს განათლების კვირეული



**ა. წ. 23-26 თებერვალს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით გაიმართა უმაღლესი და პროფესიული განათლების, საზღვარგარეთ სწავლების და სტუდენტური სერვისების მე-2 საერთაშორისო გამოფენა.**

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ევროპისა და საქართველოს წამყვანი, ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთაც წარმოდგენილი ჰქონდათ საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამები, საცნობარო კატალოგი და პრეზენტაციები. სასწავლებლები სტუმრებს სთავაზობდა: სწავლას საზღვარგარეთ, სტაჟირებას საქართველოში და საზღვარგარეთ, სპეციალიზებულ კურსებს, უცხოური ენების შესწავლას, მოსამზადებელ კურსებს (საუნივერსიტეტო-საატესტაციო პროგრამებიძ, სტუდენტური სერვისების სხვადასხვა სახეობებს.

საკმაოდ შთამბეჭდავად იყო წარმოდგენილი ჩვენი, თბილისის ტურიზმის აკადემია. აკადემიის პავილიონი, რომელიც სასწავლებლის საქმიანობას აცნობდა მნახველებს, დიდ ყურადღებას იპყრობდა. სტენდი ნათელ ინფორმაციას იძლეოდა აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლის პირობებზე და სხვ. მნახველთა მოწონება დაიმსახურა ტურიზმის აკადემიის ნაბეჭდმა გაზეთმა „ილიას გზით", დამსწრე საზოგადოება განსაკუთრებით მოხიბლა ტურიზმის აკადემიის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა „თამარისმა". პავილიონს ბუნებრივია, უამრავი დაინტერესებული სტუმრობდა. აღსანიშნავია, რომ აკადემიის თანამშრომლები დიდი გულისხმიერებით და რუდუნებით მასპინძლობდნენ ყოველ მომსვლელს.



საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოფენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახლადშექმნილი ტურიზმის აკადემიისთვის.

**ზურაბ სანადირაძე,**
პროფესორი.

---

მეუღლე ხათუნა შარაშიძე, შვილები ირაკლი, ნინო მეძმარიაშვილები, სიძე აგო ელიავა, რძლები ნინო მეტრეველი, ლიკა გოგლიძე, ნანა დვალი, ბიძაშვილი ნუგზარ მეძმარიაშვილი, შვილიშვილები ნიკოლოზი, სანდრო, გიორგი, ლიზა, მარიამი, შვილთაშვილები ირაკლი, გიორგი, ცოლისდები მანანა, ნანა შარაშიძეები ოჯახებით, ელისაბედ, მარინა ნინუები, ქვისლი ვალტერ შონია, მძახლები როინ, ლუიზა მეტრეველები, ნაზი პაჭკორია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გერმან ნიკოლოზის ძე მეძმარიაშვილი**

პანაშვიდი 2, 3 III, 17 სთ. მისამართი: ჭავჭავაძის 41ა, გამოსვენება 4 III, 14 სთ.

---

ლუიზა, როინ მეტრეველები, ნინო ციციშვილი, ვიქტორ მეტრეველი ოჯახით მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის

**გერმან მეძმარიაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

---

რეზო ჭოჭუა, ნანა ქორჩილავა თანაუგრძნობენ დავით თოფურიას ბებიის

**ლუბა კობახიძე-დუნდუას**

გარდაცვალების გამო.

---

აბაშის სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო დაწესებულების დირექცია თანაუგრძნობს ბატონ დავით თოფურიას ბებიის

**ლუბა კობახიძე-დუნდუას**

გარდაცვალების გამო.

## ზურაბ წერეთლის კიდევ ერთი საჩუქარი დედათბილისს!..

# სამშობლო უფრო თბილია...

**თითქოს დაუჯერებელია — მსოფლიოში სახელგანთქმულ მხატვარ-მონუმენტალისტ ზურაბ წერეთელს მშობლიურ თბილისში დღემდე პერსონალური გამოფენა არ ჰქონია...**

ჰოდა, აი, 29 თებერვალს, ამ გაჭიანურებული ზამთრის მიწურულს, ზურაბ წერეთლის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა მისივე თაოსნობითა და სახსრებით აღდგენილ კადეტთა კორპუსის სახელით ცნობილ შენობაში, რომელსაც ამიერიდან **სამუზეუმო-საგამოფენო ცენტრი** ეწოდება და, ჭეშმარიტად, დაამშვენებს რუსთაველის გამზირს... (არქიტექტორი გივი მეტრეველი, მშენებელ-ინჟინერი დავით



ფირცხალაიშვილი, დიზაინერი ნია გალუზლიშვილი.)

მაშ!.. უძვირფასესი საჩუქარი დედათბილისს, ქართულ სახვით ხელოვნებას!

მთელი შვიდი წელიწადი გრძელდებოდა ამ შენობის რეკონსტრუქცია-რესტავრაცია. ნაგებობის აღდგენისას ზურაბ წერეთლის მთავარ შემოქმედებით ამოცანად იქცა ისტორიისა და თანამედროვეობის შერწყმა, შენობის ისტორიული იერსახის შენარჩუნებაზე ზრუნვა და მოწინავე არქიტექტურულ-კონსტრუქციული შესაძლებლობების გამოყენება მსოფლიო სტანდარტების დონეზე გამართული მუზეუმის შესაქმნელად. ევროპულ ქვეყნებს მსგავს შესაძლებლობათა გამოყენების მრავალმხრივი გამოცდილება აქვთ ძველი სამუზეუმო შენობების აღდგენისა და ისტორიულ ნაგებობებში ახალი მუზეუმების გამართვის საქმეში.

კადეტთა კორპუსის ფასადმა პირვანდელი იერსახე დაიბრუნა, შენობაში კი გამოიყო 3000 კვადრატული მეტრი საგამოფენო ფართი, სადაც ზურაბ წერეთლის ჩანაფიქრის თანახმად, უნდა გაიმართოს საგამოფენო დარბაზები, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი, საბავშვო სტუდია, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი, არტ-სალონი და კაფე. სამუზეუმო კომპლექსი მოიცავს შიდა სამწკრივფანჯრებიან ატრიუმს მინის გადახურვით. მეორე სართულზე საგამოფენო დარბაზების კლასიკური ანფილადა ორმწკრივფანჯრებიანი გამოვიდა, იგი ფოლადის კოჭებითაა გადახურული.

ზურაბ წერეთლის მიერ ჩაფიქრებული და მისივე შექმნილი მუზეუმი შეერწყა ინტერნაციონალურ სამუზეუმო-საგამოფენო სტრუქტურას, რომელიც თავისი არსით მოიცავს ერთიანი კულტურული და მხატვრული პოლიტიკის ორგანიზაციას თბილისში, მოსკოვში, პარიზსა და ნიუ-იორკში. მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის პატრონატით აქ გამოიფინება საერთაშორისო საგამოფენო პროექტები, გაიმართება კულტურის მოღვაწეთა ლექციები, მასტერკლასები და სხვა ღონისძიებები.

გუშინწინ აქ გახსნილი პერსონალური გამოფენა მოიცავს ზურაბ წერეთლის შემოქმედებითი გზის ყველა ჟანრსა და ეტაპს. ექსპოზიციაშია მონუმენტური კომპოზიცია „არგონავტები“ და ამავე სახელწოდების გრაფიკული სერია, რომელშიც ერთმანეთს მჭიდროდ გადახლართვია ძველი ხალხების მითოლოგია, ეთნოგრაფია, ისტორია და მხატვრული კულტურა. ამ თემას აგრძელებს საგანგებოდ თბილისისთვის შესრულებული და მუზეუმის შიდა ეზოში გამართული მონუმენტური კომპოზიცია „ვაშლი“.

სამუზეუმო კომპლექსის პირველი სართულის დარბაზებში წარმოდგენილია ასამდე გრაფიკული ნაწარმოები, ასევე, მინანქარი და ქანდაკება.

მუზეუმის მეორე სართულის ექსპოზიცია იხსნება სკულპტურული კომპოზიციებით „ჩემი საყვარელი მხატვრები: „ფიროსმანი, რუსო“, პიკასო, მატისი, მოდილიანი, შაგალი და ვან გოგი“ (2010წ. სწორედ ამ დიდოსტატთა შემოქმედებასთან ზიარებამ დაუკავშირა ხელოვნებას ზურაბ წერეთლის ცხოვრება. ნაივური და ხალხური ხელოვნება, ფრანგ პოსტიმპრესიონალისტთა და რუსული ავანგარდის წარმომადგენელ მხატვართა აღმოჩენები იქცა საფუძვლად, რომელზედაც აღმოცენდა და განვითარდა ზურაბ წერეთლის შემოქმედებითი მსოფლმხედველობა და ჩამოყალიბდა მისი, როგორც მხატვრის, ინდივიდუალური სტილი.

ასზე მეტი ფერწერული ნაწარმოებითაა წარმოდგენილი ოსტატის შემოქმედებითი ევოლუცია თითქმის ნახევარსაუკუნოვან გზაზე, აქვეა ზურაბ წერეთლის მიერ ბრაზილიაში, საფრანგეთში, საქართველოში, რუსეთსა და მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში შექმნილი ნაწარმოებები. ისინი სხვადასხვა დროს გამოიფინებოდა მხატვრის პერსონალურ გამოფენებზე პარიზსა (2010წ და რომში, პალერმოსა და ანკონაში (2011წ.

გამოფენის საგანგებო ფოტოგანყოფილება ეძღვნება ზურაბ წერეთლის ცხოვრების ისტორიას, რომელშიაც შეუძლებელია გამოყო შემოქმედების, ჩვეულებრივ თუ ცნობილ ადამიანებთან შეხვედრების, სუფრასთან მოლხენის, ოჯახურ წრესა თუ კოლეგებთან, ხელოვნების, მეცნიერების, კულტურისა თუ პოლიტიკის გამოჩენილ მოღვაწეებთან ურთიერთობის მომენტები, რომლებიც, ისევე როგორც ზურაბ წერეთელი, ქმნიდნენ მეოცე საუკუნის ისტორიას და ოცდამეერთე საუკუნეშიც განაგრძობენ ისტორიის შექმნას.

ერთი სიტყვით, გამოფენაზე წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრისა და განსხვავებული ტექნიკით შესრულებული 300-ზე მეტი ხელოვნების ნიმუში, გამოფენილია 250 ფოტო.

აი, ეს არის ზურაბ წერეთელი — კეთილშობილი, საქმიანი, სამშობლოში რომ უღგას ფესვი, მსოფლიოს განედებს სწვდება და ქართულ ნიჭსა და უნარს, უზომოდ ავლენს ადამიანებთან თუ საჭირთელთან, ყალამთან ურთიერთობისას.

ასე „სავსე“ ზურაბ წერეთელი ბევრს არ ენახა და გამოფენის გახსნაზე მოსული ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ მუზეუმის დარბაზებში გამოფენილ ნაწარმოებებს.

აქ მოვიდნენ საქართველოს პრეზიდენტი და დედაქალაქის მერი, ყველა ულოცავდა ბატონ ზურაბს, რომელიც, ცხადია, გრძნობდა განსაკუთრებულ სითბოს, განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატივისცემას...

რა გასაკვირია, სამშობლოში ხომ უფრო თბილა!..

**ვილენ მარდალეიშვილი**

**განცხადება**

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).
ფასი შეთანხმებით.
ტ. 593 537-988, 551 480-096.

## მომსახურების სფერო

# „ხელმარჯვე ოსტატი“ გეპატიჟებათ

**ბევრი რამ შეიცვალა თბილისში ბოლო დროს, იერი იცვალეს ქუჩებმა, ცალკე უბნებმა, სკვერებმა, არაერთმა ცნობილმა ფირმამ თუ ორგანიზაციამ ადგილსამყოფელი შეიცვალა, ზოგიც საერთოდ დაიშალა, ანდა სულაც გაუქმდა, რამაც თბილისელებს გარკვეული დისკომფორტი შეუქმნა.**



მათ შორის ერთი გამორჩეულად ცნობილი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი „პირიმზე“ გახლდათ ორბელიანის (ყოფილ კოლმეურნეობის) მოედანზე, რომლის ცალკე პატარ-პატარა სახელოსნოებად დაშლამ თბილისელებს თუ დედაქალაქის სტუმრებს მრავალი პრობლემა შეუქმნა. ბუნება კი (სხვათა შორის, ბიზნესიც!), მოგეხსენებათ, სიცარიელეს ვერ გუობს. ჰოდა, აი, ცოტა ხნის წინათ, დედაქალაქის მოსახლეობამ ნობათი მიიღო — საბურთალოზე, პეკინისა და მიცკევიჩის ქუჩების კუთხეში, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი „ხელმარჯვე ოსტატი“ გაიხსნა.

ამ ახალგახსნილ ფირმაში დღესდღეობით მრავალი სხვადასხვა სპეციალობის მაღალკვალიფიციური ხელოსანი, საქმის ჩინებულად მცოდნე ოსტატი მუშაობს, რომლის შრომის მაღალ ხარისხს თანამედროვე მანქანა-დანადგარების გამოყენებაც განაპირობებს.

**— ათ წელზე მეტ ხანს მოსკოვის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლში სხვადასხვა სპეციალობით ვმუშაობდი, რამაც დიდი ცოდნა და გამოცდილება შემძინა,** — მითხრა უნივერსალურმა ოსტატმა ირაკლი ლომთაძემ, რომელიც ფეხსაცმლის შეკეთება-რესტავრაციაზე, ჩანთების ელვა-შეკვრების ჩასმა-შეკეთებაზე საქმიანობს, გასაღებებს ამზადებს, ელექტროხელსაწყოებს არემონტებს და კიდევ ბევრ სხვა რამეს აკეთებს. — ახლა კი სამშობლოში დავბრუნდი, თან რამდენიმე დაზგა-დანადგარიც ჩამოვიტანე და ბევრ ჩემს კოლეგა ხელოსანთან ერთად „ხელმარჯვე ოსტატში“ ვემსახურები თანაქალაქეებს.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალ სახლში მკერავ ქალს **ასმათ გოგშელიძესაც** გავესაუბრეთ.

**— ჩვენთან ყოველთვის ხალხმრავლობაა. კაცი ერთხელაც რომ მოვიდეს „ხელმარჯვე ოსტატში“ რაღაც წვრილმანზე, მერე უკვე მუდმივი კლიენტი ხდება, რადგან ხედავს, რომ საქმე ხარისხიანად კეთდება. ყველა სპეციალობის ხელოსანს აქ ნახავთ, თანაც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, დაბალი ფასებით,** — ამბობს ქალბატონი ასმათი, რომელიც განათლებით კია პედაგოგი, მაგრამ მერე მამის, ცნობილი მკერავის კვალს გაჰყვა, რომელმაც ქალიშვილს ხელობა შეასწავლა, ქალის ტყავისა და ნაქსოვი ჩანთების მხატვრობა, დიზაინი და დამზადება კი თავად აითვისა.



უნივერსალური, მრავალპროფილიანი ხელოსანი „ხელმარჯვე ოსტატში“ მრავლადაა, რომლებსაც, საჭიროების შემთხვევაში, მომხმარებელს შეუძლია 10-დან 21 საათამდე მიაკითხოს, ამასთან წინასწარ საჭირო ინფორმაციის მისაღებად ფირმასთან დაკავშირება ტელეფონით — 214-59-98 შეუძლია.

**ოთარ ტურაბელიძე**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

## კადრი



## ანეკდოტები

**მომკალით** და, არ მინახავს ისეთი წმინდა სიყვარული, რომელიც ბინძური სექსით არ დამთავრებულიყოს!

* * *

**მანამ,** სანამ ცივილიზაცია იპოთეკას მოიგონებდა, ამ ფუნქციას ინკვიზიცია ასრულებდა.



* * *

— ძვირფასო, ხვალ ხომ რვა მარტია! — ეუბნება ცოლი ქმარს.

— არა უშავს, გადავიტან, ასეთები გადამიტანია?

* * *

**სანამ** პლანეტა საფრთხეშია, სამსახურიდან მუდამ ადრე წავალ.

* * *

— ეს რა წითელი ლაქაა შენს ჭერზე?

— ეს ზედა მეზობლის ქალის ყოველთვიური ჩამონადენია...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24